# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 14 თებერვალი, 2012 წელი.

№29 (6906)



ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge



ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## თანსინადეფსი

**რამ მიკარნახა და როგორ იშიფრება ეს აბრევიატურა?**

მოლაპარაკებები ორ წელიწადზე მეტია მიმდინარეობს თურქეთისა და საქართველოს სახელმწიფოებს შორის და... საქართველოს საპატრიარქო... არ იყო და არ არის ჩართული ოფიციალურ მოლაპარაკებებში“

2




## მინდია გულუა:



კონსტრუქციულ ძალთა ერთობა შეძლებს იმ რთული გამოწვევების დაძლევას, რამაც წლების განმავლობაში გათიშა და ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დააყენა ჩვენი ქვეყანა

3

## სიმები ჩვენ ვართ ყველაო...

4





## ყოფილ თავდაცვის მინისტრს პოლიტიკა „შეჭამა“

5

ირაკლი ოქრუაშვილის პასუხი ბიძინა ივანიშვილს

## წერილი უცხოეთიდან

## შენ და შენნაირი გამყიდველები მაშინ ბუნაგში იმალებოდით...

ფრთხილად, სანდრო ბრეგაძევ!

3

ნოდარის კარიკატურა



ქართული ეკოლოგია ხაჩიძურად!

## რა რესურსები აქვს ხელისუფლებას არჩევნების მოსაგებად?

3

## მთავარი საფრთხე ჩვენი შიდა დაპირისპირებაა!

8

### უკომენტაროდ

## უცხოელზე გათხოვილი საქართველო

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2011 წლის განმავლობაში სულ 1347 ქართველმა ქალმა იქორწინა უცხოელზე; აქედან 548 რუსეთში გათხოვდა, 189 — საბერძნეთში, 172 — თურქეთში, 56 — გერმანიაში, 28 — სომხეთში, ამდენივე — დიდ ბრიტანეთში, 27-27 — აზერბაიჯანსა და ისრაელში, 22 — ინდოეთში, 20 — იტალიაში, 18 — უკრაინაში, 14 — საფრანგეთში, 13 — ნიდერლანდებში, 12 — კანადაში, 7-7 — ნეპალსა და ლატვიაში, 6 — ყაზახეთში, 5 კი — პოლონეთში. ერთ-ერთი ქართველი გოგონა მასზე უგონოდ შეყვარებულ ბიჭს თურმე მხოლოდ იმიტომ იწუნებდა, რომ შავგვრემანი იყო; არადა დღეს მას აფრიკელი, შავკანიანი ქმარი ჰყავსო.

ეშმაკთან წილნაყარნი

# თანსინადეფსი

## რამ მიკარნახა და როგორ იშიფრება ეს აბრევიატურა?

**— შიდსიც გამიგია, დეენკაც და ბევრი სხვა აბრევიატურის გაშიფვრაც შემიძლია, მაგრამ ეს თანსინადეფსი რას ნიშნავს, აზრზეც არა ვარო, — მიპასუხა ამ კითხვაზე ერთმა მეგობარმა.**

**სხვებმაც მხრები აიჩეჩეს. არც გამკვირვებია, რადგან ამ აბრევიატურას მისი „ნათლიის“, ანუ ჩემ გარდა, ვისაც იგი ერთი მამალი ნაციონალის, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, უტიფრობამ შემაქმნევინა, ვერავინ გაშიფრავს.**

**რა უტიფრობას ვგულისხმობ?**




მოგეხსენებათ, რა აჟიოტაჟია ატეხილი ბათუმში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობისა და ახალციხეში ახმედის მეჩეთის რესტავრაციის დაწყების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.




საქართველოს მასმედიაში და ჩვენი გაზეთის 10 თებერვლის ნომერშიც **გამოქვეყნდა საქართველოს საპატრიარქოს საგანგებო განცხადება,** რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ **„...აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკებები ორ წელიწადზე მეტია მიმდინარეობს თურქეთისა და საქართველოს სახელმწიფოებს შორის და... საქართველოს საპატრიარქო... არ იყო და არ არის ჩართული ოფიციალურ მოლაპარაკებებში“.**

ამასთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართეს „ქრისტიან-დემოკრატებმაც“.

**„მოლაპარაკებათა პროცესის საპატრიარქოს გვერდის ავლით წარმართვას ქრისტიან-დემოკრატები მიიჩნევენ სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების დარღვევად და ითხოვენ მოლაპარაკებებში საპატრიარქოს ჩართვას და გადაწყვეტილებათა მიღებისას, პირველ რიგში, საპატრიარქოს, მართლმადიდებლური ეკლესიის აზრისა და პოზიციის გათვალისწინებას“,** — განაცხადა გიორგი ახვლედიანმა.

ქრისტიან-დემოკრატ გიორგის უმალ გამოეხმაურა მისი სეხნია, ზემოხსენებული მამალი ნაციონალი **გიორგი (იგივე გოკა)** გაბაშვილი, რომლის ზემოაღნიშნულმა უტიფრობამაც მიკარნახა სათაურად გამოტანილი აბრევიატურა.

აი, „კურიერით“ „გაჟღერებული“ მისი ნაუბარი:

**„საპატრიარქო ყველა ეტაპზე მოლაპარაკებისა იყო საქმის კურსში ამ საქმისა და ბოლო შეხვედრა საპატრიარქოში მინისტრს ჰქონდა სულ რამოდენიმე დღის წინ. ასე რომ, ოთხი წლის განმავლობაში და განსაკუთრებით ინტენსიურად ბოლო ორი წლის განმავლობაში ამ საუბრების მიმდინარეობის საქმის კურსში, რა თქმა უნდა, იყო საპატრიარქო და ყველა სხვა დაინტერესებული მხარე, ვისთვისაც მნიშვნელოვანი და საინტერესოა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა“...**




ამ სატელევიზიო გამოსვლის შემდეგ (სტილი დაცულია — **რ. რ.**) ვფიქრობ, ყველაფერი ნათელია: **გამოიკვეთა ორი, ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული პოლუსი: საპატრიარქო ამბობს, რომ იგი „...არ იყო და არ არის ჩართული ოფიციალურ მოლაპარაკებებში“, ხოლო ნაცმოელები, გოკა გაბაშვილის ენა-პირით, ამტკიცებენ, რომ „საპატრიარქო ყველა ეტაპზე მოლაპარაკებისა იყო საქმის კურსში“...**

რა ჰქვია ამას?

არ მინდა, ამგვარი უტიფრობის, უსირცხვილობის, თავხედობა-მატყუარობის თუ სხვა მრავალი ანალოგიური **„ობის“** შესაბამისი რამდენიმე მკვეთრი შედარება გამოვიყენო, და იმ უზორო-ტო ხუმრობასღა გავიხსენებ, რომლითაც ერთი ჩემი უფროსი კოლეგა და მეგობარი თავის თანატოლს მიმართავს ხოლმე — **ეს შენა გგონია, რომ ცოცხალი ხარ, თორემ სინამდვილეში, მკვდარი ხარო.**

ანუო, გოკამ, ეს შენა გგონია, რომ არ მონაწილეობ მოლაპარაკებებში, თორემ სინამდვილეში არამცთუ მონაწილეობ, უშენოდ კრინტიც არავის დაუძრავსო!

საპატრიარქოს ეუბნება ამას, ხალხო!

ამაზე მეტი უტიფრობა იქნება?

არა ჰგავს ეს იმ უზნეო ქალის საქციელს, რომელიც...

თუმცა, ხომ ვთქვი, მკვეთრ შედარებებს არ გამოვიყენებ-მეთქი...

**ამიტომ მხოლოდ წერილის სათაურად გამოტანილ აბრევიატურასღა გავშიფრავ. დანარჩენი კი თავად განსაჯეთ და „გააკომენტარეთ“, პატივცემულო მკითხველო.**

**მაშ ასე, თან-სი-ნა-დეფ-სი: თანდაყოლილი სინდის-ნამუსის დეფიციტის სინდრომი — აი, ბევრზე უზევრესი ნაცმოძრაობლის უტიფრობის განმაპირობებელ-გამომწვევი მიზეზი!**

**ისე, ამბობენ, ეშმაკთან წილნაყარ-შეკრულებს ღმერთისაც არ ეშინიათო.**

**რუსლან რუსია**

## ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკური პარტიის საინიციატივო ჯგუფს 15 თებერვალს წარადგენს

**ამის შესახებ დღევანდელ ბრიფინგზე „ქართული ოცნების“ პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა.**

**მისივე თქმით, საინიციატივო ჯგუფს თავად ბიძინა ივანიშვილი წარადგენს და ის, დაახლოებით, 20 ადამიანისგან შედგება.**

— მათ შორის არიან, როგორც აკადემიური წრეების წარმომადგენლები, ასევე — ექსპერტები, უფლებადამცველები, იურისტები, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები სახელოვნებო თუ ჟურნალისტთა წრეებიდან, ასევე საზღვარგარეთ მოღვაწე წარმატებული ქართველები. აბსოლუტურად დაცულია ასაკობრივი და გენდერული ბალანსი. მათ ნაწილს საზოგადოება იცნობს, თუმცა 15-დან ახალ ამპლუაში გაიცნობს, — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

მისივე თქმით, ეს სახეები არასოდეს ყოფილან პოლიტიკაში, თუმცა საზოგადოება მათ იცნობს.

საინიციატივო ჯგუფის წარდგენა 15 თებერვალს, 12:00 საათზე გაიმართება.

თაღლითობა

**ბიძინა ივანიშვილი სამშენებლო კომპანია „ცენტრ პოინტის“ მიერ დაზარალებულ მოქალაქეებს შეხვდა. „დაზარალებულ მენაშენეთა ასოციაციის“ სახელით ეს პრობლემები მას ათამდე მოქალაქემ გააცნო. ბიძინა ივანიშვილი დაზარალებულ 6000 მოქალაქეს დაჰპირდა, რომ მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, დამოუკიდებელი სასამართლოს გზით, სამართალი აუცილებლად აღდგება.**

ხოლო ივანიშვილის კოალიციის ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმა განაცხადა, რომ ერთადერთი მიზეზი, რის გამოც „ცენტრ პოინტის“ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არ იღძვრება, არის ის, რომ მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი რუსუდან კერვალიშვილი პარლამენტის ვიცე-სპიკერია.“

### ჰაერში დარჩენილები



„ცენტრ პოინტისაგან“ დაზარალებულები აქციებს უკვე დიდი ხანია მართავენ. მათი მოთხოვნა არის სრულიად კანონიერი და აბსოლუტურად ლეგიტიმური. ისინი ითხოვენ მათ მიერ გადახდილი თანხის სანაცვლოდ ფართის მიღებას, რაც „ცენტრ პოინტს“ ხელშეკრულებით ჰქონდა ნაკისრი. რატომ მივიდნენ პარლამენტთან? იმიტომ, რომ „ცენტრ პოინტის“ ერთ-ერთ დამფუძნებელი რუსუდან კერვალიშვილი პარლამენტის ვიცე-სპიკერია და ბუნებრივია, რომ ისინი პასუხს მისგანაც ითხოვენ. კერვალიშვილს ხელი აქვს მოწერილი მათ ხელშეკრულებებზე“, — განაცხადა ხიდაშელმა და დასძინა, რომ ესაა თაღლითური სქემა, რომელიც „ცენტრ პოინტმა“ ამ ადამიანების წინააღმდეგ აამოქმედა.

„პრინციპში ეს ხალხი ჰაერში დარჩა. კომპანია სახელშეკრულებო ვალდებულებებს არ აკმაყოფილებს და უფრო მეტიც, მათგან დამატებითი თანხების გადახდას მოითხოვს, როდესაც თავად ვალდებულება არ შეუსრულებია. აუცილებლად მივაღწევთ, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს თუ ამ ხელისუფლების პირობებში არა, მაშინ არჩევნების შემდეგ“, — აღნიშნა რესპუბლიკელების ერთ-ერთმა ლიდერმა.

რამდენიმე დღის წინათ პარლამენტის შენობის წინ გამართულ საპროტესტო აქციაზე „ცენტრ პოინტისაგან“ დაზარალებულმა მოქალაქეებმა მაია და ვახტანგ რჩეულიშვილების, ასევე რუსუდან კერვალიშვილის ფიტულები დაწვეს. 6000-ზე მეტი დაზარალებული მოქალაქის ნაწილი რამდენიმე თვეა თინათინ ხიდაშელთან პრობლემის მოგვარების გზებზე მუშაობს. დაზარალებული მოქალაქეები „ცენტრ პოინტის“ მიერ დაწყებული მშენებლობების დასრულებას ან გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას მოითხოვენ.

კომპანია „ცენტრ პოინტმა“ უხეშად დაარღვია ხელშეკრულების პირობები, რომელიც დადო ათასობით მესაკუთრესთან. ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში, სადაც თავისუფალი სასამართლოა, მსგავსი პრობლემის მქონე მოქალაქეები სასამართლოში საქმეებს მოიგებდნენ. ჩვენს რეალობაშიც, რამდენიმე დაზარალებულმა სასამართლო პროცესი მოიგო, თუმცა განაჩენი არ აღსრულდა. დაზარალებული მოქალაქეების პრობლემის გადასაჭრელად პოლიტიკური ნებაა საჭირო. პროკურატურამ უნდა აღძრას სისხლის სამართლის საქმე თაღლითობის მუხლით“, — დასძინა ხიდაშელმა.

ამასთან, როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, „ცენტრ პოინტის“ სამართალმემკვიდრე „დექსუსი“ მათგან ბინების დასრულებაში დამატებით თანხებს ითხოვს.

აქციის მონაწილეთა თქმით, „დექსუსი“ ითხოვს, რომ კვადრატულ მეტრზე 100 დოლარი დაამატონ, რაც რიგ შემთხვევებში 18 000 დოლარი, რიგ შემთხვევებში კი 30 000 დოლარამდე გამოდის.

აქციაზე „კონსერვატორებიდან“ ლაშა ჩხარტიშვილიც იმყოფებოდა. მისი აზრით, აქციის მონაწილეთა უფლებები ირღვევა და მათი უფლებების დასაცავად ბოლომდე იბრძოლებენ.

ასევე, კომენტარი გააკეთა „დექსუსის“ დამფუძნებელმა და დირექტორმა გიორგი კანანაშვილმა.

მან განაცხადა, რომ 6200 დაზარალებულიდან 1700-ს სამშენებლო სამუშაოები დაუსრულეს და 1200 მობინადრის ბინა სრულდება.

**ნატა ნიბლაძე**

ინფორმაცია

## „ერთობა სამართლიანობისთვის“ პარლამენტში ახალი უმცირესობის შექმნის ინიციატივით გამოდის

**საპარლამენტო ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ პარლამენტში ახალი უმცირესობის შექმნის ინიციატივით გამოდის და შესაბამის შეთავაზებას დღევანდელ უმცირესობასაც აძლევს.**

**როგორც პარლამენტში გამართულ გუშინდელ ბრიფინგზე ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრმა, „ქართული დასის“ ლიდერმა, დეპუტატმა ჯონდი ბაღათურიამ განაცხადა, მისი ფრაქცია უკვე გაიზარდა შვიდ კაცამდე და ასევე მიმდინარეობს მოლაპარაკებები უმრავლესობის წევრებთანაც, რათა ეს რიგები კიდევ გაიზარდოს და პარლამენტში შეიქმნას ახალი უმცირესობის პერსპექტივა.**

**ჯონდი ბაღათურიამ აღნიშნა, რომ დღევანდელი უმცირესობა, ფაქტობრივად, დაშლილია და მოლაპარაკებები მიდის ე.წ. უმცირესობასა და უმრავლესობას შორის, რათა უმრავლესობამ როგორმე უმცირესობა დაშლას გადაარჩინოს.**

**ბაღათურიამ დღევანდელ უმცირესობას მოუწოდა, არ მოექცნენ კვლავ ხელისუფლების ზეგავლენის ქვეშ, რადგან ხელისუფლების მიერ უმცირესობის გადარჩენა მათზე ზემოქმედების ბერკეტების შენარჩუნებას ნიშნავს.**

**ჯონდი ბაღათურიამ მზადყოფნა გამოთქვა დაივიწყოს ყველა „წყენა“ უმცირესობისგან და ახალი უმცირესობა მათთან ერთადაც შეიქმნას. რაც შეეხება, ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრების უმრავლესობასთან მიმდინარე მოლაპარაკებებს, ჯონდი ბაღათურიამ აღნიშნა, რომ მოლაპარაკებები მიდის უმრავლესობის ორ წარმომადგენელთან, თუმცა მათი ვინაობა ჯონდი ბაღათურიამ არ დაასახელა.**

ინტერპრესნიუსი

ვითხოვ ყურადღებას!

## მინდია გულუა:

# კონსტრუქციულ ძალთა ერთობა შეძლებს იმ რთული გამოწვევების დაძლევას, რამაც წლების განმავლობაში გათიშა და ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დააყენა ჩვენი ქვეყანა



პრეზიდენტების ბარაკ ობამასა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა კიდევ დიდხანს დარჩება საერთაშორისო მედიის, ექსპერტებისა და პოლიტიკოსთა დისკუსიის თემად, რადგან ცხადია, რომ ჩვენი ეკლექტური რეალობა და განსხვავებული ხედვები უამრავ კითხვას ბადებს განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნებია ის ქვაკუთხედი, რამაც უნდა მოიტანოს ხელისუფლების ფორმალური გადაცემა ჩვენს ქვეყანაში, თუმცა ამ შეხვედრაზე არაფერი თქმულა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სატკივარზე, ჩემს დაკარგულ აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე, რომლის ხსენებაც თითქმის აღარ ხდება, არათუ უმაღლესი დონის შეხვედრებზე, ჩვენს ადგილობრივ მედიაშიც კი. სრულად ვაცნობიერებ იმ ფაქტს, რომ სწორედ სამართლიან, ღია და დემოკრატიულ არჩევნებს უკავშირდება, როგორც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება, ისე საქართველოს გადარჩენის პერსპექტივა ყველა სასიცოცხლო ასპექტში.

როგორ მივიდეთ არჩევნებამდე, როგორ ჩამოვაყალიბოთ ყველა ძალისათვის მისაღები დემოკრატიული საარჩევნო გარემო და ბოლოს, როგორ დავიცვათ არჩევნები გაყალბებისაგან? ვფიქრობ, რომ სხვადასხვა პოლუსებზე ორიენტირებული ქართული პოლიტიკური სუბიექტები ჯერ კიდევ გართულნი არიან „პოლიტიკური ცენტრებისა“ და პოლიტიკურ ძალთა გაერთიანებების ჩამოყალიბების იდეით და მთავარ საკითხზე ორიენტაცია პერსპექტივაშიც კი არ ჩანს – თუ როგორ მოვახერხოთ ყველამ ერთად ჩვენი საერთო პოლიტიკური გარემოს დალაგება, მოწესრიგება და საზოგადო პრობლემასთან ბრძოლა, რასაც ამ რეჟიმის შეცვლა წარმოადგენს. სამწუხაროდ, ამჟამად არ მაქვს შესაძლებლობა ფიზიკურად ვიმყოფებოდე თბილისში, პოლიტიკური აქტივობის ეპიცენტრში, რადგან ნაციონალური ხელისუფლებისაგან აკრძალული მაქვს საქართველოში შემოსვლა „ქვეყნისთვის კონსტიტუციური საფრთხის“ შექმნის მოტივით და ამდენად თავს უფლებას ვაძლევ დისტანციიდან მხოლოდ რამდენიმე მინიშნება გავაკეთო საქართველოში უკვე დაწყებულ წინასაარჩევნო პოლიტიკურ აქტივობასთან დაკავშირებით. მეტად თვალშისაცემია ის გარემოება, რომ მთელი ეს პოლიტიკური პროცესი დესტრუქციული მუხტით არის გაჯერებული, რაც ნიშნავს იმას, რომ ცალკეული პოლიტიკური ჯგუფები, მხოლოდ ვიწრო სუბიექტური და მერკანტილური ინტერესებით არიან დაკავებულნი და არ ახდენენ მათ ურთიერთმიმართებას საერთო პრობლემასთან კოორდინაციის გზით. ჩვენი პოლიტიკური ბრძოლის უკანასკნელი ოცწლიანი გამოცდილება კი გვარწმუნებს, რომ სწორედ დაქსაქსულობამ, დესტრუქციამ, ცუდმა კომუნიკაციამ და სუსტმა მმართველობამ მიგვიყვანა იმ პრობლემებამდე, რასაც დღეს ვებრძვით. სხვადასხვა პოლიტიკური ცენტრების ჩამოყალიბების პროცესი შესაძლოა კანონზომიერიც იყოს დარღვეული პოლიტიკური ბალანსისა და მისი დაკარგვის პირობებში, მაგრამ ბალანსის აღდგენა ისევ საერთო ეროვნული თანხმობით, ურთიერთგაგებითა და კოორდინაციით უნდა დავიწყოთ. ქართული მედიასაშუალებებით მე ერთხელ უკვე მივმართე მოქმედ პოლიტიკურ სუბიექტებს, მედიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომ შევქმნათ დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაზე ორიენტირებული საკოორდინაციო საბჭო, რომელიც იმუშავებს ჩვენს პოლიტიკურ რეალობაში არსებული დესტრუქციული და აგრესიული მუხტის გასანეიტრალებლად და შეძლებს ჩამოაყალიბოს ეფექტური მექანიზმი, ნორმალური არჩევნების ჩატარებისა და ჩვენი ხმების დასაცავად. ამ მიზნით კიდევ ერთხელ გამოვდივარ ინიციატივით, ევროპის ცენტრში, ბრიუსელში ორგანიზება გავუწიო ყველა დაინტერესებული ძალის შეხვედრას, როგორც პოლიტიკური პარტიების, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლების მონაწილეობით, რომლებიც შექმნიან საორგანიზაციო ჯგუფს და გააგრძელებენ მუშაობას დასახული მიმართულებით. ვფიქრობ, კონსტრუქციულ და პოზიტიურ ქმედებებზე ორიენტირებული ძალთა ერთობა შეძლებს იმ გამოწვევების დაძლევას, რამაც წლების განმავლობაში გათიშა და ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დააყენა ჩვენი ქვეყანა.

განსჯა

# რა რესურსები აქვს ხელისუფლებას არჩევნების მოსაგებად?

**„ძალთა ისეთი განლაგების პირობებში, როგორიც დღეს არის, ოპოზიციას გამარჯვების შანსი არ აქვს. ბიძინა ივანიშვილის კოალიციის გამარჯვების შანსი დღევანდელი შემადგებლობითა და სტრატეგიით 30-35 % ია – მოვლენების განვითარების ერთ-ერთი სცენარი ამგვარად დაგვიხატა არჩევნებისა და პოლიტტექნოლოგიების კვლევის ცენტრის დირექტორმა კახა კახიშვილმა, რომელთან საუბარიც ვენეციის კომისიის მდივნის ტომას მერკერტის ამას წინანდელ განაცხადებაზე დავიწყეთ.**



მერკეტმა ბრძანა – „მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებების შესახებ კანონის“ ტექსტი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო, მნიშვნელოვნად შეცვლილი იყო (ეს ცვლილებები პოლიტიკური პარტიების დაფინანსებასთან დაკავშირებულ დამატებით შეზღუდვებს შეეხებაძ იმ ტექსტთან შედარებით, რომელიც ვენეციის კომისიაში გაიგზავნაო.

– მანკიერი პრაქტიკაა, რომ ინგლისურენოვან ვარიანტში ნებსით თუ უნებლიეთ შეცდომებია ხოლმე. არაერთხელ ვყოფილვართ იმის მომსწრენი, როდესაც ჩვენ გადაგვითარგმნია რაიმე დოკუმენტი და აღმოგვიჩენია, რომ მანამდე არსებული ოფიციალური თარგმანი არასწორი იყო. როდესაც პარლამენტმა თავის ვებგვერდზე ახალი საარჩევნო კოდექსი გამოფინა, იქ იყო ერთი პუნქტი: **არჩევნებში გამარჯვებულ სუბიექტს ხმები უბათილდება და ხელახალი არჩევნები ინიშნება, თუ ნარკოლოგიურმა დეპარტამენტმა დროულად არ წარუდგინა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ცნობა გამარჯვებული სუბიექტის ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ. ინგლისურ ვარიანტში ეს მუხლი არ იყო. ახლაც ანალოგიური რამ მოხდა. პარტიების დაფინანსების შესახებ ვენეციის კომისიაში გაგზავნილი პროექტი მოგვიანებით პარლამენტის გადაწყვეტილებით გამკაცრდა. სხვათა შორის, ვენეციის კომისიის დასკვნაც არ იყო ისეთი დადებითი, როგორც ეს მედიით გაშუქდა.** ასეთი მანიპულაციები, რომლითაც მოსახლეობა შეცდომაში შეჰყავთ, არაერთხელ გვინახავს.

მიხეილ სააკაშვილის აშშ-ში ვიზიტის შემდეგ არ გამორიცხავენ მორიგ საკონსტიტუციო ცვლილებებს, რაც სააკაშვილს ძალაუფლების შეუნარჩუნებს.

– დღევანდელი კონსტიტუციაც იძლევა საშუალებას, რომ სააკაშვილი პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე იქნას არჩეული. მმართველი პარტია და მისი დღევანდელი თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი რომ არსად აპირებენ წასვლას, ნათელია. 30 იანვარს, როდესაც სააკაშვილს ობამასთან შეხვერა ჰქონდა, გამოქვეყნდა „გრინბერგის“ კვლევა, რომლის მიზანიც იყო იმის დადასტურება, რომ სააკაშვილი უალტერნატივო ლიდერია და მის პარტიას გამოკითხულთა 65% უჭერს მხარს. ეს არის პოლიტიკური ტექნოლოგია მიმართული იმისკენ, რომ რაც შეიძლება მეტ ადამიანს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ ეგონოს – სააკაშვილს დიდი მხადაჭერა აქვს. **ობამასთან შეხვედრისას სააკაშვილმა თქვა, – საქართველო გადადის ახალ ეტაზე, როდესაც იქნება ძლიერი საპარლამენტო ხელისუფლებაო. ეს ნიშნავს, რომ ის, სავარაუდოდ, პარლამენტის თავმჯდომარეობას აპირებს. ამ შემთხვევაში, მას ორი ვარიანტი აქვს: გადადგეს და სათავეში ჩაუდგეს „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიულ სიას 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ან 2013 წელს, საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ, რომელიმე ოლქში იყაროს კენჭი მაჟორიტარად, შევიდეს პარლამენტში და მერე პარტიამ წარადგინოს პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე.** დამეთანხმებით, რომ ასეთი ვარიანტისთვის 2012 დან 2013 წლამდე ნაციონალური მოძრაობა დროებით პარლამენტის თავმჯდომარეს კი შეარჩევს.

**– თქვენი აზრით, რომელ ოლქში იყრის კენჭს სააკაშვილი?**

– სააკაშვილის ფანტაზიას საზღვარი არ აქვს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ტექნოლოგები ურჩევენ, თბილისის რომელიმე საარჩევნო ოლქს, მაგალითად ისნის, სამგორის ან გლდანის. ვინაიდან 2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო და 2009 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ცესკოს მონაცემებით მან და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ზუსტად ამ საარჩევნო ოლქებში მოიპოვეს დიდი რაოდენობის ხმები. სააკაშვილი ძლიერი პოლიტტექნოლოგია. ის ოპოზიციას არ აალაპარაკებს, პუტინის გზას დაადგაო. მისთვის პრემიერობაზე კომფორტული პარლამენტის თავმჯდომარეობაა.

**– თუმცა, ბევრს ეჭვი ეპარება სააკაშვილი 5 საათის განმავლობაში დარბაზში (ერთ ადგილას) იჯდეს და სხდომა მიჰყავდეს.**

– პრემიერ-მინისტრის თანამდებობა მოითხოვს ყოველწუთიერ შრომას და პასუხისმგებლობას, რაც სააკაშვილს მაინცდამაინც არ მოხიბლავს, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარის რანგში ზარ-ზეიმით გახსნის სხდომას და როდესაც მოუნდება მაშინ გაუძღვება.

იხ. 6 გვ.

წერილი უცხოეთიდან

იბეჭდება უკომენტაროდ

# შენ და შენნაირი გამყიდველები მაშინ ბუნაგში იმალებოდით...

## ფრთხილად, სანდრო ბრეგაძევ!

ჭეშმარიტო ქართველებო! საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების რამდენიმე პარლამენტარი და უზენაესი საბჭოს წევრი, რომელნიც ლეგიტიმურ ხელისუფლებაში რაღაც ბინძური მაქინაციებით აღმოჩნდნენ სანდრო ბრეგაძის თაოსნობით, ალიანსში არიან ალასანია-ივანიშვილ, რესპუბლიკელ-სოროსელებთან.

სანდრო ბრეგაძევ, შენ და შენი ამფსონები სად იყავით 1992 წლის 3-7 იანვარს, ან ამავე წლის 2 თებერვალს, როდესაც კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა მრავალათასიან მიტინგებს სისხლში ახშობდა სამშობლოსა და ქართველი ერის დაუძინებელი მტერი, მასონი ედუარდ შევარდნაძე თავისი პირსისხლიანი ხუნტით და ქურდი, ავაზაკი, ბარბაროსი, მკვლელი ჯაბა იოსელიანი თავის ბანდიტებით.

შენ, ბრეგაძევ და შენნაირი სამშობლოს გამყიდველები ბუნაგში იმალებოდით. მიტინგებზე, ქუჩაში თუ ბინაზე მკვლელები და ბარბაროსები, ჭეშმარიტ ქართველებს, სამშობლოზე შეყვარებულ საჯიშე ბიჭებსა და გოგოებს რომ ხვრეტდნენ, სად იყავით შენ და შენისთანა პარლამენტარები?

საქართველოს ლეგიტიმურ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას სამეგრელოში ჩამოსვლის დროს რატომ არ დაუდექით გვერდით. როდესაც უდიდეს ქრისტიანს და მამულიშვილს ზვიად გამსახურდიას სამეგრელოს ტყეებში მოსაკლავად დასდევდნენ შევარდნაძის, გულუას კაციჭამიები და ავაზაკ ჯაბა იოსელიანის ბანდიტები, რატომ დუმდით მაშინ?

სანდრო ბრეგაძევ კარგად დაიმახსოვრეთ შენ და შენმა ამფსონებმა. საქართველოს ლეგიტიმური პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა დაარსდა 17-18 წლის წინათ საზღვარგარეთ, რომელშიც შედის 3013 მებრძოლი, საქართველოში – 1002 მებრძოლი, რომელთაც იატაკქვეშ უწევთ მოღვაწეობა.

3031-დან 1200 არის საქართველოს ლეგიტიმური პრეზიდენტის გამსახურდიას გვარდიის წევრი. 1200 არის იჩქერიის კანონიერი პრეზიდენტის ჯოხარ დუდაევის გვარდიის წევრი, რომლებიც ცხოვრობენ ეგვიპტეში. 2020 გვარდიელის ხელმძღვანელია სანდრო არტოდელი. ეს გვარდიელები მსოფლიო რევოლუციების მონაწილეებიც არიან (ეგვიპტეში მიმდინარე მიტინგების დროს ქართული დროშებიც ფრიალდებდა).

სამშობლოს მოღალატე ბრეგაძევ, ტყუილად იბრძვი ამერიკის ვასალ ივანიშვილისთვის. შენი ნაქები ივანაშვილი არის პირსისხლიან შევარდნაძეზე და ტირან სააკაშვილზე უარესი.

შენმა სათაყვანებელმა ივანიშვილმა მასონური ამერიკიდან ობამაც რომ ჩამოგიყვანოთ, ისიც ვერ შეეხება კავკასიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, საქართველოს ლეგიტიმური პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიერ შექმნილ პირველ ჰელსინკის ჯგუფს, რომელიც კავკასიაში დღესაც აგრძელებს კავკასიის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის კურსს.

მთელი ამ 20 წლის მანძილზე, როდესაც სამშობლოსა და გამსახურდიას გზას ეწირებოდნენ ჭეშმარიტი მამულიშვილები, თქვენ იმ ე.წ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრებს მიეკუთვნებოდით, რომლებსაც სამშობლო მხოლოდ არჩევნების წინ ახსენდებათ.

**საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების ზვიად გამსახურდიას კავკასიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლნი საზღვარგარეთიდან:**

**გიორგი ჯაყელი,**
**დავით გიგაური,**
(რომლებიც კონსპირაციულად ცხოვრობენ).

**სანდრო არტოდელი,**
3013 მებრძოლის ხელმძღვანელი

გაჩენის დღიდან იმედიანი მოლოდინი აცოცხლებს კაცობრიობას. დღეს, როდესაც იმედიანი მოლოდინი კი არა, ზოგი მეცნიერი და უამრავი შარლატანი ამ წლის ბოლოსთვის ჩვენი პლანეტის დასასრულსაც კი წინასწარმეტყველებს, ქართველი მაინც იმედით ცოცხლობს და იმედით შეჰყურებს ხვალინდელი დღის გათენებას. „და მოდიოდა, და მოდიოდა, და მოდიოდა“ საქართველო, ქმნიდა, აშენებდა, უამრავ მტერსა და გადამთიელს ებრძოდა, თავსასთუმალთან ხმალი ედო, სახნავ-სათესში ხმალაკიდებული მუშაობდა... იბრძოდა, იბრძოდა... „და მოდიოდა, და მოდიოდა, და მოდიოდა“... მაგრამ, მოდიოდა – ქართლი – ცალკე, კახეთი – ცალკე, იმერეთი – ცალკე, გურია – ცალკე, სამეგრელო – ცალკე...

... ყველა, ყველა... ყველას თავისი სამეფო, ყველას თავისი სამთავრო ჰქონდა, სადაც მეზობლიდან უნებართვოდ ჩიტიც ვერ შეფრინდებოდა... ბატონი კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენიდან“ მომაკვდავი გიორგი მეფის მონოლოგი, დასურათხატებული რომაა მრავალსაუკუნოვანი ყოფა საქართველოსი და ქართველი კაცისა, მე თუ მკითხავთ, ყველა ქართველის ოჯახში კედელზე უნდა იყოს ამოქსეროქსებულ-გაკრული და მოზარდს ვაკითხებდეთ, ვამახსოვრებდეთ, თუ რანი ვიყავით ქართველები.

ეტყობა, ჩვენს ბუნებასა და ხასიათს მთლად ვერ შველის მხატვრული სიტყვა და შეძახილი, თორემ „თერგდალეულთა“ მოღვაწეობა, განა აქეთ არ იყო მიმართული?! ერთად! ერთად! ერთად! განა სულმნათი აკაკის გენიალური სიტყვები აქეთკენ არ მოუწოდებდა?!

**„ჩონგური საქართველოა,**
**სიმები ჩვენ ვართ ყველაო,**
**სხვადასხვა კუთხის შვილები,**
**ოდელა, დელა, დელაო...**
**ერთი მათგანიც რომ გაწყდეს,**
**მაშინვე უნდა შველაო,**
**რომ არ დადუმდეს ჩონგური,**
**ოდელა, დელა, დელაო...“**

გვასწავლიდა, მოგვიწოდებდა... რა გავაკეთეთ? ავდექით და „ერის მამას“ ილია ჭავჭავაძეს ტყვია დავახალეთ წიწამურთან...

მოგვიანებით კი მოხდა პარადოქსი, მოხდა სასწაული – საბჭოთა ეპოქაში, კრემლიდან მართვის ეპოქაში, როდესაც შეიქმნა, თითქოს, „თავისუფალ ერთა მძლე კავშირი-ძმური“ – საბჭოთა საქართველო, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, ალბათ, არასდროს ყოფილა ასე ერთიანი, ასე ერთმანეთთან კუთხეებდაკავშირებული, გარეშე მტრისგან დაცული, მდიდარი, კულტურითა და განათლებით მსოფლიოში სახელგანთქმული! ეს ფაქტია და, ახლა ნუ დაიწყებს მკერდზე მჯიღის ცემას ზოგიერთი ურაპატრიოტი და, ასე ვთქვათ, ეროვნული მოღვაწე – მონები ვიყავითო. ეს დიდი თემაა, შორს წაგვიყვანს, მე მხოლოდ ფაქტი აღვნიშნე. რა თქმა უნდა, ის სისტემა გვარიანად უარყოფითიც იყო!... უარყოფითიც იყო და დამთრგუნველიც. ისტორიის ანალებიდან არ ამოიშლება 1937 წლის რეპრესიების შედეგები, 1956 წლის მარტის, 1989 წლის აპრილის დღეებში ქართველ ხალხზე გამოვლენილი სისასტიკე.

... მე ზემოთ არაფერი მითქვამს ისეთი, რაც ყველა წიგნიერმა ქართველმა არ იცის, მე მხოლოდ, გარდასულ დღეთა ძალზე მოკლე მიმოხილვით, მინდოდა საუბარი მიმეყვანა იქამდე, თუ როგორ იწვევს იმედიანი მოლოდინი ოცნებას უკეთესობისკენ, როგორ აღსრულდა ჩვენთა ბრძენთა წინაპართა, თაობათა ოცნება, რომ მათი სამშობლო თავისი თავის უფალი, დამოუკიდებელი ყოფილიყო... მაგრამ, ქვეყანამ იცის, რა ძვირი, რა სისხლი, რა ვაი-უშველებელი დაგვიჯდა ეს ნატვრა, რამეთუ, ამჯერადაც, „ქართლელების აღმა ხნული, კახელებმა დაღმა ფარცხეს“, გაწყდა „ჩონგურის“ ერთი „სიმი“ – დავკარგეთ (ჩვენ, ჩვენ დავკარგეთ!) აფხაზეთი და, აკაკი რომ მოგვიწოდებდა, „მაშინვე უნდა შველაო“, მისი საშველი შეიძლება საერთოდ არ გამოჩნდეს. და, ჩემი აზრით, იცით, რატომ? არა მხოლოდ იმიტომ, რომ ასე სურს ჩვენს მეზობელ უდიდეს სახელმწიფოს, ჩვენ, ჩვენ არა ვართ ერთი აზრით შეკრობილი – ცალკეა ხელისუფლება და ცალკეა ხალხი – „სხვადასხვა კუთხის შვილები“. კი, ჩვენს პიარის დიდოსტატ პრეზიდენტს ყოველდღე ვხედავთ ხალხით გარშემორტყმულს, „უბრალოება“ არ აკლია, მაგრამ რას აკეთებს მათთვის? არჩევნების წინ 130 ლარამდე გაზრდის პენსიას!

სამთავრობო ტელევიზიები დაუსრულებლად გადმოგვცემენ ხოლმე სააკაშვილის „გადარბენებს“ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მის მიერ საავადმყოფოების, სკოლების, ბაგა-ბაღების საზეიმო გახსნას (რა მაგის საქმეა!), მაგრამ ერთხელ თუ მაინც წამოსცდენია, რომ საქართველოს ყველა კუთხე უნდა გაერთიანდეს, ერთ მუშტად შეიკრას გაწყვეტილი „სიმის“ – აფხაზეთის (რომელსაც მისი ბედოვლათობით ცხინვალის რეგიონიც მიემატა) დასაბრუნებლად, ეროვნული სულის გასაძლიერებლად. კი, უცხოეთში მოგზაურობის დროსაც ახსენებს ხოლმე იგი, ჩვენი ტერიტორიების ოცი პროცენტი ოკუპირებულიაო... და აქ მთავრდება ყველაფერი... შენი აფხაზეთი ობამას (და სხვა უცხოელ „მეგობრებსაც“) ფეხზე ჰკიდია... ჩვენ, გალოკილი თითივით მარტონი ვართ, პრეზიდენტო! თუ ვინმე გვეხმარება, ჩვენგანაც გვარიანად ითხოვს. ერთი, ავლანეთში დაღუპული ვაჟკაცების მშობლებსაც ვკითხოთ, რას განიცდიან!

ვერაფერი ვერ გვიშველის გაერთიანების გარდა! ამას ღაღადებდა და ღაღადებს ყველა გონიერი ქართველი კაცი და, სულ ცოტა ხნის წინათ, ჩვენში დამკვიდრებული „ქართული ოცნებაც“ (გულგვამი რომ აუწვა „ნაცმოძრაობასა“ და მის მამამთავარს), როგორც უკვე ჩანს ამ გზით წავა! **გაერთიანება, ქართული სულის აღზევება!** რადგან, როგორც ისტორიამ გვიჩვენა, სხვანაირად არაფერი გამოვა!

**სადისკუსიოდ**

**რას ფიქრობთ ახლანდელ დროსა და სივრცეში საქართველოს ბედზე და როგორ გეოცნებებათ „ქართული ოცნება?..“**

# სიმები ჩვენ ვართ ყველაო...



იმ დღეს ჩვენმა ელენე გედევანიშვილმა, თავისი ოსტატობით დარბაზი რომ ალაფრთოვანა და ფიგურულ სრიალში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ევროპის ჩემპიონატზე, ტელევიზორში ცრემლმორეული ვადევნებდი თვალს და ჩემთვის ვფიქრობდი: – ღმერთმა თავისი სააგარაკო მიწის ნაჭერი გვაჩუქა, გამორჩეული ნიჭიერებაც დაგვაბერტყა – მსოფლიოს რიცხობრივად უდიდეს ერებს ტოლს არაფერში ვუდებთ, მოხიბლული არიან ჩვენი სტუმართმოყვარეობით, ჩვენი პურ-ღვინოთი, ჩვენი ციხე-ტაძრების სიძველითა და სილამაზით, ჩვენი ანბანისა და ენის სიდიადით, მსოფლიო დონის მეცნიერებით, მსახიობებით, მომღერლებით, მოცეკვავეებით, მხატვრებით, პოეტებით, ფეხბურთელებით, კალათბურთელებით, ხელბურთელებით, რაგბისტებით, მოჭადრაკეებით, მოჭიდავეებით... ეს ფაქტია, მაგრამ, გუნდურ თამაშებში, ანუ ერთიანობაში რომ არ ვართ ძლიერნი და რამდენიმე ბრწყინვალე გამონაკლისის გარდა, „ვერ ვიქმთ თორნიკობას“, ესეც ხომ თვალნათელია! აი, ცალ-ცალკე, იცოცხლეთ, სხვა ერებს ვაძლევთ მაგალითს. ვერ გავერთიანდით, ვერ შეიქმნა „გუნდი“, ამიტომ, ამ ბაქიბუქა ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლას თუ ვაპირებთ, ამას მხოლოდ ამომრჩეველთა ერთსულოვნებით მოვახერხებთ.

საქართველოს პერიფერიებში თუ უცხოეთის დარბაზებში გამოსვლისას სააკაშვილი ერთთავად ქადაგებს, რომ დაამარცხა კორუფცია, სასიკეთოდ გარდაქმნა შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობა, რომ გზები აშენდა, რომ ქალაქები დამშვენდა, მაგრამ ეს ხომ, გაუთავებლად საკუთარი ხალხისთვის თუ უცხოელთათვის თვალებში ნაცრის შეყრაა! „ალექსანდრეს“ ბაღში ამას წინათ ასეთ ფაქტს წავაწყდი: აქ (როგორც ყველგან – გზებზე, სკვერებში, ბაღებში) ალიონზე მოდიან და სანაგვეებში ლუკმა პურს, ანდა ლუკმა პურისთვის ცარიელ პლასტმასის ბოთლებს ეძებენ თქვენი მოქალაქეები, პრეზიდენტო! ჰოდა, ვხედავ, ერთი ტანსაცმელგაზინზლული „მეძებარი“ ხელისკვრით იშორებდა მეორეს, წადი აქედან, ეს ჩემი ბუნკერიაო...

ფიქრი საკუთარ ხალხზე, რომელმაც, სხვათა შორის, დიდი იმედით აგირჩიათ პრეზიდენტად, რატომ იქედანვე არ იყო და დღესაც არ არის თქვენი უპირველესი საზრუნავი?!

ერთი ჩვენი ცნობილი მწერალი ასე ამბობს „ნაცმოძრაობისა“ და მათი თავკაცის მიმართ: „ესენი აშენებენ იმას, რისი აშენებაც შეიძლება, მაგრამ ანგრევენ იმას, რისი დანგრევაც არ შეიძლება!“ ასპროცენტიანია! ჩვენი ახალგაზრდობის სულიერი საზრდო – მამა-პაპური ტრადიციების პატივისცემა, წარსულით თავმოწონება, ეროვნულობას შერწყმული სწავლა-განათლება კი არ არის, ინგლისურის აუცილებელი ცოდნაა („...მაგრამ ჯერ შენი იცოდე, აი ეს არის მთავარი“), ჩვენი უგემრიელესი სიმღერების გადაკეთება-გარემიქსებაა, ვილას უნდა „ღვთაებრივი უბრალოება“ – ტვინნაჭყლეტია, ანუ „ახლებურია“ ლექსი, პროზა, სპექტაკლი, მუსიკა, ოპერა, საერთოდ, „ახლებურია“ ყოფა ახალგაზრდობისა – ტელეკრანებზე და სცენაზეც შიშველი „უკანალების“ თამაში... ვაი, ჩვენო ქართვლის ბედო, რაც გადმოვიღეთ, კარგად კი გადმოვიღეთ დემოკრატიულად წოდებულ სამყაროდან!

„ჩვენ ვაშენებთ ახალ ქვეყანას!“ – ამბობს „ნაცმოძრაობა“ და მისი ლიდერი. კი, მაგრამ ახალი ძველზე, საძირეზე რომ დაამყნოთ, არ ივარგებს? საძირე არ გვაქვს თუ რა?! „რა მაქვს სხვისი შესაშური, თვარა კი... მარტო წვიმას აქვს სახელი ცხრა...“ სწორედ თქვენისთანა „გულმავიწყებზე“ ამბობს პოეტი. მაგრამ, მათი აზრით, ეს ყველაფერი უკვე „პროვინციულია“ და, ცოტაღა აკლიათ, რომ ქალამნებიანი გენიალური ფშაველი თუ რიონის პირას მოსეირნე მაღლცხებული პოეტების დასტა, მასხრად აიგდონ...

„ახალი აზროვნებაა“ საჭირო, ბაბაია!

ეს ჭორვილელიო, წამოისროლა ამას წინათ ერთმა უბედურ დღეზე გაჩენილმა „ნაციონალმა“. ამ „პროვინციალს“ „პროვინციული“ სამარცხვინო სიტყვა ჰგონია და ტალახს ესვრის პიროვნებას, რომელსაც მთელი არსებით სურს, თავისი უკულმამავალი ქვეყანა წალმა მოატრიალოს. ამის მუხტს სწორედაც თავისი ჭორვილა აძლევს ბატონ ბიძინა ივანიშვილს, განუზომელ სიყვარულს უნერგავს თავისი ზემოიმერული მწირი მიწა, რომელსაც ბავშვობიდანვე შეეთვისა და დღეს არც თოხი უკვირს და არც მილიარდები. რაც არ უნდა „უჩხიკინონ“, რაც არ უნდა ლანძღონ და „ტალახსროლია“ ვაი-ჟურნალისტებიც დაიხმარონ, ბიძინა ივანიშვილს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი თავისი სამაგალითო ზნეობა და დიდი ფული ქვეყნის უკეთეს მერმისს, ქართველი კაცის ოცნების ასრულებას მოახმაროს – როგორმე განამტკიცოს და გააერთიანოს ქვეყანა.

იგი, პირველივე განცხადების გაკეთებიდან, უმალ გახდა პოპულარული მთელ საქართველოში. იმიტომ, რომ ეროვნულ საქმეთა ქომაგია! იმიტომ, რომ ხელისგულზე დევს, რა ქველმოქმედია, რა მეცენატია, რომ მისი ხატია სამშობლო... მერე რა გინდათ? ჯიბარში ვენაცვალე, სწორედაც რომ უცხოეთში, რუსეთში ნაშოვნ დოლარებს ქართული ეკლესია-მონასტრების, თეატრების და ბევრი სხვა დაწესებულების მშენებლობას, ხელისუფლებისგან ასე უყურადღებოდ მიტოვებული „ჩარეცხილი“ ინტელიგენციის დაპურებას ახმარს.

ახლა რაღა ქნან?.. ბიძინას „ბანაკში“ განხეთქილებააო, ზოგს უცხადებს ნდობას, ზოგს ალმაცერად უყურებსო.

მართლა, ეს ჩვენი პატივცემული პოლიტიკოსები, ზოგი კმაყოფილია, ზოგიც ნაწყენი, ორაზროვნად რატომ თქვა ჩვენზე ბიძინამ, რაღაც-რაღაცებიო... რა გასაკვირია, ქართული ხასიათი აქვთ – „დიდკაცი თუ გამოგვერია, ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“. საღად შეხედეთ მდგომარეობას, ბატონებო! ღმერთმა შანსი მოგვცა ქვეყნის გადარჩენისა, ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობისა. რა ხდება, რაშია საქმე? მაგალითად, ზოგ პარტიას და პოლიტიკურ სუბიექტს თუ არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი არ გააჩნია (და, დარწმუნებული ვარ, ეს ასეა), რატომ არ ერთიანდებიან ბიძინა ივანიშვილთან? ხომ ვართ ჩვენ – ყველანი სიმები ჩონგურისა, რომელსაც საქართველო ჰქვია?! არადა, ყველას გინდათ რომ როგორმე მოვაცილოთ საქართველოს „ნაცმოძრაობა“ და მისი სულისჩამდგმელი.

თქვენ, რა თქმა უნდა, ამ „დარიგებას“ გულუბრყვილობად და საკითხის არცოდნად ჩამითვლით, რადგან საქართველოში დაიწერა ესეც: „მალ-მალ იტყვის, ჩემი სჯობსო, უცილობლობს ვითა ჯორი“.

რა მესამე ცენტრი, რა მესამე გზა, ბატონებო, შანსი მოგვეცა და თუ აქაც „ქართულად“ ჩავიჭერით, მერე დავაბრალოთ ერთმანეთს შეცდომები. ისე, ბატონმა ბიძინამაც უნდა გაითვალისწინოს ზოგ-ზოგი რამ! კარგად იცით, რომ მოწინააღმდეგე ძლიერია, სხვათა შორის, მხარდამჭერიც ბლომადა ჰყავს.

ჩვენი ბედკრული ქვეყანა კი კვლავ გზაჯვარედინზეა!

უკვე მერამდენედ!



**ვილენ მარდალეიშვილი**

SIC!

# ყოფილ თავდაცვის მინისტრს პოლიტიკა „შეჯავრდა“



## ირაკლი ოქრუაშვილის პასუხი ბიძინა ივანიშვილს

**გაზეთ „ასავალ-დასავალში“** გამოქვეყნებული სტატიის საპასუხოდ „ქართული პარტიის“ ლიდერმა **ირაკლი ოქრუაშვილმა** ბიძინა ივანიშვილს მიმართა. ოქრუაშვილის პასუხს „**პირველი**“ უცვლელად გთავაზობთ:

**„ბასულ კვირას** გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნდა თქვენი ინტერვიუ, სადაც მცირე პასაჟით შემოიფარგლეთ ჩემს შესახებ. საერთოდ არ ვაპირებდი პასუხის გაცემას, რომ არა „ქართული პარტიის“ წევრთა უდიდესი ნაწილის მოთხოვნა ერთი წინადადება მაინც მეთქვა იმ უმძიმეს ბრალდებაზე, რომელიც მე წამიყენეთ. საზოგადოებას რომ კიდევ ერთხელ შევახსენოთ თქვენი შეფასება, ვახდენ ციტირებას: „ოქრუაშვილი ამათი ტიპიური სახეა. რა თქმა უნდა, ვფიქრობ, რომ ის თანამშრომლობს ამ ხელისუფლებასთან და დღესაც ამ გუნდის წევრია! მათ მოუვიდათ შიდა კონფლიქტი, თუმცა, ახლა კვლავ ერთად არიან, მე რამდენადაც ვიცი“...

გულახდილად ვიტყვი, პირველი და ემოციური რეაქცია, თქვენი ამ ფრაზების წაკითხვისას, იყო ის რომ თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი. გარკვეული დროის შემდეგ ემოციამ გამიარა და გაკვირვება დამეუფლა. კარგად რომ გავაანალიზე თქვენი ნათქვამი, გაკვირვებაც აღარ მქონდა, იმის გამო რომ მაშინვე მივხვდი, ეს შეფასება შედეგია იმ მძიმე გარემოსი, რომელშიც თქვენ იმყოფებით. გარემოცვა რომელიც თქვენ შემოიკრიბეთ და რომლის გავლენის ქვეშაც იმყოფებით, ხომ დაზიანებული ატომური რეაქტორის ეფექტის მატარებელია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თქვენი გარემოცვის უდიდესი ნაწილი განსაკუთრებით პირადი მოტივების გამო საკუთარ მტრად მიმიჩნევს, ყველაფერი გასაგები ხდება. იმასაც თუ დავამატებთ, რომ თქვენი პიროვნება ცნობილია იმით, რომ ადვილად ექცევა გავლენის ქვეშ, ამის შემდეგ ნამდვილად არ ვარ არათუ შეურაცხყოფილი, არამედ გაკვირვებულიც.

გასული წლის მაისის წარუმატებელი მოვლენების შემდეგ, რომელშიც უდავოდ ჩემი წვლილიცაა, როგორც ჩემთვის ასევე ყველა ქართველისთვის, ერთგვარი მოჯადოებული წრე შეიკრა. ალბათ დიდხანს ვერაფერი უშველიდა იმ უიმედობას, რომელმაც მაისის მოვლენების შემდგომ დაისადგურა ქვეყანაში, რომ არა თქვენი პოლიტიკურ სცენაზე გამოჩენა, რამაც მეც, ისევე, როგორც, „ცვლილების“ მსურველ ყველა ქართველს იმედი აღმიძრა. მიუხედავად თქვენი პირველი და საკმაოდ ნეგატიური შეფასებისა „ქართული პარტიის“ მიმართ, არანაირად არ გამნელებია ის დადებითი ემოცია, რაც თქვენი პოლიტიკაში ჩართვამ გამოიწვია. ასევე მიუხედავად იმისა, რომ გამოჩენიდან ხუთი თვის განმავლობაში, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, თქვენი მხრიდან „ტალახის სროლის“ გარდა არაფერი მიუღია ჩვენს გუნდს, არც ერთ ჩვენგანს ერთი წუთითაც არ გვინანია ის სიახლე, რაც თქვენ შემოიტანეთ ოთხი წლის განმავლობაში დაჭაობებულ სივრცეში. იმ ფაქტსაც შევეგუეთ და სიჩუმით შევხვდით, საკუთარი პარტიის თავმჯდომარე „თამარ ქალივით“ რომ მოგვტაცეთ, რაზეც ყველა თავმოყვარე ორგანიზაცია თქვენ თუ არა, მას მაინც საკადრის პასუხს გასცემდა. არც მაშინ არ ვთქვი არაფერი, როდესაც მე და ჩემს პარტნიორს ორი წლის განმავლობაში წვალებით შექმნილი „რუსთავის მედიის მართვის კომპანია“ თქვენი მოქმედებებითა და განცხადებებით დაგვინგრიეთ.

არც ახლა არაფრის თქმას არ ვაპირებდი, რადგან დღესაც მიმაჩნია, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც დადებით როლს თამაშობთ იმ ბოროტების წინააღმდეგ, რაც სააკაშვილი და მისი გუნდია.

7 თვეზე მეტია საჯარო აქტიურობა სრულიად შევწყვიტე, არც ერთ პოლიტიკოსთან არ ვკონტაქტობ, არანაირი პოლიტიკური თუ სხვა პროექტის კეთებით აღარ ვარ დაკავებული და ამის ფონზე ოდნავ გამიკვირდა თქვენი ესეოდენ დიდი ყურადღება და ეპითეტები ჩემდამი. მიზეზი გასაგებია. კიდევ ერთხელ გაგიმეორებთ, თქვენი გარემოცვის დიდ ნაწილს პირადი ზიზღი ამოძრავებს ჩემს მიმართ და მათი გავლენის ქვეშ იმყოფებით. აქ ერთ გარემოებას უნდა გავუსვა ხაზი, თქვენი გარემოცვის თქვენზე ზეგავლენა ჩემს პიროვნებასთან დაკავშირებით ვერანაირი უარყოფითი შედეგის მომტანი ვერ იქნება და არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს საზოგადოებისათვის. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ როდესაც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაზე მიგიდგებათ საქმე და მაშინ ჩაერთვება თქვენი გარემოცვა, ეს შეიძლება სავალალო შედეგების მომტანი გახდეს ქვეყნისათვის. ნურც იმის მტკიცებას დაუწყებთ ხალხს, თუ როგორი დამოუკიდებელი ხართ და ერთპიროვნულად იღებთ გადაწყვეტილებებს და არაფერს ეკითხებით თქვენს გარემოცვას, რადგან სწორედ ასეთი ერთპიროვნულობის შედეგებს ვიმკით სააკაშვილისაგან დღეს. ისე, მაგ „უნიკალური“ გარემოცვით თვით ზვიად გამსახურდიას გარემოცვასაც უდავოდ დიდ კონკურენციას გაუწევდით. ცხონებულმა კი, კარგად გემახსოვრებათ, საკუთარი გარემოცვის წყალობით როგორ დაამთავრა მოღვაწეობა. ხუთი თვეა რაც პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდით და მეტწილად იარლიყების მიკერებით, ოპოზიციაში პოლიტიკური დესტრუქციით თუ სხვა პოლიტიკოსების ლანძღვით უფრო მეტად ხართ დაკავებული, ვიდრე სააკაშვილის ხელისუფლების კრიტიკით. ეს კი თქვენს სისუსტეზე მეტყველებს. კარგად თუ გადაავლებთ თვალს თქვენს ხუთთვიან მოღვაწეობას, მკაფიოდ დაინახავთ, რომ ნათელაშვილი უფრო მეტჯერ გყავთ გალანძღული, ბურჯანაძე უფრო მეტჯერ გყავთ გაქილიკებული, გამყრელიძეზე უფრო მეტი აუგი გაქვთ ნათქვამი, ქართულ პარტიაზე აღარაფერს ვამბობ, ვიდრე სააკაშვილი და მისი გუნდი გყავთ გაკრიტიკებული. ურთულეს გზას ადგახართ და იქნებ სააკაშვილზე და მის რეჟიმთან ბრძოლაზე უფრო მეტი კონცენტრაცია მოახდინოთ, ვიდრე ჩვენზე, კრიტიკას გადააყოლოთ დრო. თორემ სხვაგვარად მეც და ბევრი ჩემნაირი ადამიანიც ჩათვლის, რომ სხვებივით ოპოზიციაში ადგილის დასამკვიდრებლად და სააკაშვილისათვის ხელისუფლების გასაყოფად უფრო იბრძვით, ვიდრე მასზე გასამარჯვებლად. ხალხი თქვენგან ყოველდღიური სასიკეთო ცვლილების გეგმის მოსმენას უფრო ელის ვიდრე იმის მოსმენას, დილით იოგას აკეთებთ თუ სტაფილოს წვენს მიირთმევთ. საზოგადოებას თქვენგან ის უფრო მეტად აინტერესებს, მოქალაქეობა თუ ვერ აღიდგინეთ, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში თქვენს მეუღლეს დაგვისვამთ პრემიერ-მინისტრად ან პარლამენტის თავმჯდომარედ თუ თქვენი გარემოცვის რომელიმე „ღირსშესანიშნავ“ წარმომადგენელს, ვიდრე ის ჯაკომეტის ქანდაკებაში (ჩემი აზრით, ძალიან უგემოვნო, თუმცა გემოვნებაზე არ დავობენ) 110 მილიონი გადაიხადეთ თუ 120. იქნებ აჯობებდა 20 მილიონად ათასი ქართველი (მათ შორის ჟურნალისტი) გაგეგზავნათ საზღვარგარეთ სასწავლებლად და ამით შეგეწყოთ სამოქალაქო საზოგადოების შექმნისთვის ხელი. გულით მსურს ცვლილება მოხდეს ქვეყანაში და მაგ ბოროტებას ბოლო მოეღოს, ამის გამო ვსარგებლობ და თავს უფლებას ვაძლევ, კეთილი რჩევები მოგცეთ, განსხვავებით თქვენი გარემოცვისაგან.

ყველაზე რთულია როდესაც აბსურდზე თავის მართლება გიწევს ადამიანს, თუმცა თავის მართლებას იმაზე, რაც თქვენ დამაბრალეთ, ნამდვილად არ ვაპირებ. თქვენც ბევრჯერ მოგიწევთ მაგ მდგომარეობაში ყოფნა. მე რომ ხელისუფლების წისქვილზე წყლის დასხმა მინდოდეს, სულ დეტალურად ჩამოგითვლიდით იმ უამრავი ტყუილის შესახებ, რასაც თქვენს მიერ ხელისუფლების, განსაკუთრებით პოლიციის თუ თავდაცვის სფეროს დაფინანსებაზე ამბობთ იმავე ინტერვიუში, სადაც მე მდებთ ბრალს. თქვენი მხრიდან ტყუილის თქმას ერთი პლიუსი უდავოდ აქვს, ეგ პოლიტიკოსის თანმდევი უარყოფითი თვისებაა ანუ პოლიტიკოსად უკვე შემდგარი ხართ.

და ბოლოს, საზოგადოებამ აუცილებელია იცოდეს მართლა ვთანამშრომლობ ხელისუფლებასთან და მით უმეტეს, დღესაც მათი გუნდის წევრი ვარ თუ არა, როგორც თქვენ ამას ამტკიცებთ. თუ უახლოეს მომავალში საზოგადოებას წარუდგენთ ჩემი ხელისუფლებასთან კავშირის „ოდნავ დამაჯერებელ“ მტკიცებულებას მაინც, საჯაროდ ვდებ პირობას, რომ არათუ პოლიტიკას დავემშვიდობები სამუდამოდ, არამედ ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან განზრახვაზე — საქართველოში დაბრუნებაზე ასევე სამუდამოდ ავიღებ ხელს. თუ თქვენ ამას ვერ გააკეთებთ, მეც და ბევრი სხვაც ჩათვლის, რომ თქვენც ისეთივე ტყუილისა და სიყალბის გზას ადგახართ, როგორსაც სააკაშვილი“.

გისურვებთ წარმატებებს!

პატივისცემით,
**ირაკლი ოქრუაშვილი**

ოჰ, ეს თითლიბაზი მთავრობა!

# შეაგროვე გროშები, ოღონდ საკუთარი ჯიბიდან

**დიდი** **თითლიბაზი ვინმეა ეს ჩვენი მიშისტი მთავრობა. ისე მელასავით შემოგიძვრებიან „საქათმეში“ და დაგიწყებენ სწავლებას, როგორ უნდა მიეჩვიო მოგებას, თითქოს მე არ მინდოდეს ეს ოხერი მოგება და დაძალება მჭირდებოდეს, თანაც არ უნდათ მაგრძნობინონ, რომ მაძალებენ და პრესის საშუალებითა და ბილბორდებზე გაკრული განცხადებებით მორიდებით, ერთგვარი მოკრძალებითაც კი მაპარებენ — მიეჩვიე მოგებასო. აღარ აგრძელებენ, მაგრამ ისე ალბათ ფიქრობენ, შენთვის ვამბობთ, თორემ თუ არ მიეჩვევი, კისერიც გიტეხიაო!**

მე პირადად, მაგალითად, როგორ აღარ ვეცადე, მაგრამ ამ თვალთმაქც მოგებას ვერაფრით მივეჩვიე. რაღა დაგიმალოთ და ამ ლატბილეთებმა, რომელსაც ყოველ გათამაშებაზე ვყიდულობ, წაგებას უფრო მიმაჩვია, ვიდრე მოგებას. ჩემს კოლეგა ბენიტოზე ხომ ნუღარა მკითხავთ. ის იმდენად ჩაერთო ყოველდღიურ სამოგებო ორომტრიალში, რომ რეპორტიორობას სამუდამოდ გადაეჩვია და „პოსლეზე“ არყის ხუხვას მიეჩვია.

ჩემი თაობის ადამიანებს მოგებისადმი დამოკიდებულება ალბათ არც გაემტყუნებათ. შედით ჩვენს მდგომარეობაში, ხალხო, კომუნისტური მმართველობის ხანაში მთელი ცხოვრება წაგებაზე ვიყავით ორიენტირებული და ახლა ერთბაშად მოგებაზე როგორ გადავერთვებოდით. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ერთი პერიოდი სცადა კიდეც ჩვენი გამოსწორება, თუ სადმე გროში გვქონდა გადანახული, გურულად მოგვახეკინა და „შემნახველ სალაროში“ შეგვატანინა (გვპირდებოდა, მალე სამმაგად მოიგებთოძ, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ვერც გაამტყუნებ, ძველი თაობის კაცს მოგებისა არაფერი გაეგებოდა, თავადაც წაგებული წავიდა სახლში და ჩვენ რას მოგვაგებინებდა(!ძ.

სამაგიეროდ იმავე შევარდნაძემ მთავრობაში დაგვიტოვა უწვერულვაშო ბიჭები იმისთანა, რომლებიც, ხონელებისა არ იყოს, თუ მოინდომეს, ფულის გულისთვის, რწყილსაც კი გაატყავებენ. სიმართლე უნდა ითქვას, ამ მხრივ ბიჭებს (ხელისუფალთ ვგულისხმობძ სამდურავი არ ეთქმით. მათ მოინდომეს კი არა, გადაინდომეს კიდეც, მაგრამ რწყილების ძებნაში დრო რომ არ დაეკარგათ, ადგნენ და ტყავი საკუთარ ხალხს გააძვრეს.

თუმცა, რომ შეატყვეს ხელისუფალთა გაზრდილ მადას მარტო აქაური ხალხი ვერ აუთავდებოდა (მოსახლეობის ნახევარზე მეტი თავად არის დამშეული და მთავრობას რას მისცემდაძ, გადაწყვიტეს ფულის საკეთებელი „მოედანი“ გაეფართოვებინათ და „წილობანაში“ ხარკი, ადგილობრივ ბიზნესმენებთან ერთად, უცხოელი ინვესტორებისთვისაც გადაენაწილებინათ. ამიტომაც გაჩაღდა საქართველოში არნახული ტემპით საზღვარგარეთელ ინვესტორთა მოზიდვის სამუშაოები, რაშიც სახელმწიფოს პირველ პირებთან ერთად ზოგი ჩვენი უმშვენიერესი ქალბატონი მინისტრიც უშურველად ჩაება.

იხ. 7 გვ.

ჩვენი პრესდაიჯესტი

### „საპარლამენტო უმცირესობა დაიშალა“

საპარლამენტო უმრავლესობიდან ბეჟან ხურციძის გარიცხვამ ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა. ამ კითხვებს ნაციონალები ამომწურავად ვერ პასუხობენ. საპარლამენტო უმცირესობა შეიძლება დაიშალოს. ეს, დეპუტატ გია ცაგარეიშვილის განცხადებით, პარლამენტის მოქმედი რეგლამენტით უნდა მოხდეს. რა არის ხურციძის გარიცხვის ნამდვილი მიზეზი, რას აპირებენ ნაციონალები უმცირესობის გადასარჩენად, ამაზე გია ცაგარეიშვილი საუბრობს.

**„ახალი თაობა“.**

### სომეხი სეისმოლოგები დიდ მიწისძვრას პროგნოზირებენ

სომხეთის ეროვნული აკადემიის გეოფიზიკისა და სეისმური საინჟინრო ინსტიტუტის დირექტორი სევად ოვანესიანი უახლოეს რამდენიმე წელიწადში სამხრეთ კავკასიაში დიდ მიწისძვრას პროგნოზირებს. ქართველი სპეციალისტები კი მოსახლეობას amშვიდებენ და აცხადებენ, რომ ამ მხრივ რაიმე განსაკუთრებული აქტიურობა არ შეიმჩნევა.

**„რეზონანსი“.**

### რა მოელის შალვას?

ალბათ მკითხველს ახსოვს, რომ „პალიტრამედიამ“ საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცრუ ცნობების გავრცელებისთვის ლეიბორისტული პარტიის ლიდერს 2001 წლის დეკემბერში სასამართლოში უჩივლა. ნათელაშვილი „პალიტრამედიას“ ყოველგვარ უკეთურ საქმეში ამხელდა“. სასამართლოს ნათელაშვილის წინააღმდეგ „პალიტრამედიის“ სარჩელი სრულად დააკმაყოფილა.

**„კვირის პალიტრა“.**

### „მე რომ ბიძინა ივანიშვილის ფული მქონდეს, სააკაშვილს სამ დღეში დავამხობდი“

— ამბობს ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი, — ობამას საპარლამენტო არჩევნებში სჭირდება სომხური წარმომავლობის ამერიკელების ხმები და ამის გამოც უმასპინძლა ასე ხელგაშლილად სააკაშვილს.

**„ასავალ-დასავალი“.**

**განსჯა**

# რა რესურსები აქვს ხელისუფლებას არჩევნების მოსაგებად?

(მესამე გვერდიდან)

არ არის გამორიცხული, რომ დაიბაროს კოალიციური მთავრობის წევრები და მოსახლეობის დასანახად დატუქსოს კიდეც, ხოლო მოუცლელობის შემთხვევაში, ვიცე-სპიკერები შეასრულებენ მის მოვალეობას. ამასთან ქუთაისში გადატანილი პარლამენტის პირობებში დღევანდელ პრეზიდენტის სასახლეს გადაარქმევს პარლამენტის თავმჯდომარის რეზიდენციას. იქ ისევ კომფორტულად იგძნობს თავს და არც მოგზაურობებს მოიკლებს. დღევანდელი გადასახედიდან, ნათლად ჩანს, რომ სააკაშვილი წინასაარჩევნო კამპანიას ეწევა, საკუთარ პოლიტიკურ მომავალზე ფიქრობს და არა პოლიტიკიდან წასვლაზე.

**— მაგრამ ახალ პარალამეტში ივანიშვილის გუნდი 2/3-ით მოსვლას გეგმავს, რაც სააკაშვილის შანსს ამცირებს.**

— თუ ოპოზიციურ ფლანგზე ძალთა განლაგება ისეთივე დარჩა, როგორიც დღეს არის, არ გამოვრიცხავ 2012 წლის არჩევნებზე ივანიშვილის კოალიცია გავიდეს მეორე ადგილზე და შემდგომში, რამდენიმე პარტიამ დააკომპლექტოს კოალიციური მთავრობა. ოპოზიციურ პარტიებს დაუთმობენ უმნიშვნელო სამინისტროებს, ძირითადი სამინისტროები ისევ „ნაციონალურ მოძრაობას“ დარჩება, ხოლო აშშ-ის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრისას კვლავ გაიმეორებს, რომ მან და მისმა გუნდმა ჩაატარეს ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმები დემოკრატიის გაღრმავების თვალსაზრისით და ამ მხრივ, რეგიონის ლიდერი ხართო. თუ სარგსიანი და ალიევი ნათესავებს ნიშნავენ თანამდებობებზე, სააკაშვილზე იტყვიან, — სამინისტროები ოპოზიციას დაუთმოო. ამდაგვარი რამ უკვე განხორციელდა საპარლამენტო და ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, როდესაც ოპოზიციურ პარტიებს, დასავლეთის დასანახად, დაუთმო ვიცე-სპიკერების, საკრებულოს თავჯდომარის მოადგილის და რამდენიმე კომიტეტის. მაგრამ თუ ოპოზიცია სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან ჯანდაცვის სამინისტროს სოციალურ სააგენტოს ხელმძღვანელის (პიროზითადძ თანამდებობებით დაკმაყოფილდება, ვერანაირ შედეგს ვერ აჩვენებს და ხალხს მათდამი უკმაყოფილება და უნდობლობა გაუღრმავდება — სკამებისთვის იბრძოლესო.

**— არსებობს შეხედულება, რომ სააკაშვილისა და მისი გარემოცვისთვის ძალაუფლების შენარჩუნება ხელშეუხებლობისა და უსაფრთხოების გარანტიაა და თუნდაც ამიტომ, იბრძოლებენ ხელისუფლებაში დასარჩენადო.**

— ყველა კვლევა, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ დაკვეთით არის გაკეთებული, აჩვენებს, რომ სააკაშვილის რეიტინგი რამდენიმე პროცენტით აღემატება მისი პარტიის რეიტინგს. ეს გაკეთებულია იმისათვის, რომ პარტიულმა ლიდერებმა იცოდნენ, სააკაშვილი უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე პარტია და საკუთარ თავზე არ შეექმნათ დიდი წარმოდგენა. 2013 წელი სააკაშვილისთვის ძალიან სერიოზული წელი იქნება, რადგან მის პარტიას მოუწევს ფორმალური პრეზიდენტის დასახელება. სააკაშვილმა ამ შემთხვევაშიც დაიზღვია თავი და შემოილო ბერკეტი, რომლის მეშვეობითაც 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, საკონსტიტუციო ცვლილებებისათვის პარლამენტის დეპუტატების ხმების 3/4 იქნება საჭირო. ეს ერთგვარი პრევენციაა, რომ ახალი პრეზიდენტი არ შეეკრას რომელიმე ოპოზიციურ ძალას სააკაშვილის საწინააღმდეგოდ და არ შეცვალოს კონსტიტუცია ისე, რომ სააკაშვილი უუფლებო პარლამენტის თავმჯდომარე გახდეს.

**— რა რესურსი აქვს ხელისუფლებას არჩევნების მოსაგებად?**

— პირველ რიგში, ხელისუფლება ადმინისტრაციულ რესურსს აამუშავებს (და უკვე ამუშავებს კიდეცძ. თუ ჩართავთ ნებისმიერ სამთავრობო ან სამთავრობო პირებთან ასოცირებულ არხს, მთელი საინფორმაციო გადაცემების დრო ეთმობა სააკაშვილს (ან სამთავრობო გუნდსძ და მის პოზიტივში ჩვენებას. დროის 1/4 კი ეთმობა ოპოზიციის ნეგატიურად გაშუქებას. გამგებლების ჩართვა საარჩევნო პროცესში, ვაუჩერიზაცია, უფასო კბილების პროგრამა, საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულთათვის ხელფასების მომატება, ეს, ყველაფერი ხელისუფლების სასარგებლოდ იმუშავებს. გარდა ამისა, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ხმის მიცემის უფლება ექლევათ პატიმრებს. ხომ გასაგებია პატიმარი ვისაც მისცემს ხმას და ეს იმიტომ არ მოხდება, რომ მათ გული უსკდებათ სააკაშვილის სიყვარულით. როდესაც ციხეში უადგილო ადგილას სიგარეტის მოწევის, ან ზადრაგის ცუდ ხასიათზე ყოფნის გამო შეიძლება პატიმარი გაილახოს, მისთვის ხმის მიცემის უფლება სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.



**ხელისუფლებას ასევე აქვს ბევრი რესურსი, რომ ოპოზიციაში დაპირისპირები გამოიწვიოს და ეს უკვე ჩანს კიდეც. ის ეცდება დამოუკიდებელი მაჟორიტარი კანდიდატები დაუპირისპიროს ოპოზიციური პარტიების მაჟორიტარ კანდიდატებს. ამასთან, მას ხელთ აქვს საკმარისი ბერკეტი ოპოზიციურ პარტიებს შორისაც კი მოახდინოს დესტრუქცია. აქვე მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ მაჟორიტარული კორპუსი არ იგებს არჩევნებს. ისიც გასათვალისწინებელია, როგორ გადანაწილდება პარტიული ხმები იმ ოლქებში, სადაც არ იქნება წარდგენილი კოალიციის კანდიდატი და ასპარეზი დაეთმობა სხვა ოპოზიციურ გაერთიანებას. მაგალითად, რომელ პარტიულ ხმებზე იმუშავებს სხვა ოპოზიციური პარტიიდან წარდგენილი მაჟორიტარი? თუ მან საარჩევნო კამპანიის დროს, საკუთარი პარტიის მხარდამჭერი კამპანია აწარმოა, ეს ზუსტადაც იმას ნიშნავს, რომ ოპოზიციონერები ერთმანეთს წაართმევენ პარტიულ ხმებს, რაც აისახება პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ შედეგებზე.**

**ან მეორე ვარიანტია: კოალიცია და რამდენიმე ოპოზიციური პარტია შეთანმხდებიან ერთიან მაჟორიტარულ კანდიდატზე, მაგრამ იმ პირობით, რომ პროპორციულ საარჩევნო სისტემით მათმა პარტიებმა მონაწილეობა არ მიიღონ არჩევნებში. რთული არ არის პროგნოზირება რამდენად მისაღები იქნება ასეთი გადაწყვეტილება პარტიის წევრებისათვის, რომელთაც ეტყვიან მხოლოდ თქვენი ლიდერის შესაძლო გადეპუტატობით დაკმაყოფილდითო.**

ამასთან ხელისუფლება პირდაპირ თუ ირიბად, მონაწილეობას მიიღებს რამდენიმე პოლიტიკური ცენტრის ჩამოყალიბებაში, რომლებიც ორინეტირებულები იქნებიან ოპოზიციურად განწყობილი სხვა გემოვნების ამომრჩეველზე. ყველა მექანიზმი იქნება გამოყენებული ოპოზიციური ამომრჩევლის ხმების გასახლეჩად და საიმისოდ, რომ ასეთი ტიპის ამომრჩეველი საერთოდ არ მივიდეს საარჩევნო უბანზე ოპოზიციისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების ან გამარჯვების რწმენის დაკარგვის გამო. როდესაც ოპოზიციური ძალა აცხადებს, რომ პარლამენტში 2/3-ით მოვა და ასე არ მოხდება, ეს მეტ ნიჰილიზმში ჩააგდებს ამომრჩეველს 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. **თუ ბიძინა ივანიშვილის გარშემო ფართო კოალიცია არ შეიქმნა, დაახლოებით შემიძლია გითხრათ რამდენი პოლიტიკური ცენტრიც გამოჩნდება: „ნაციონალური მოძრაობა“, ქრისტიან-დემოკრატები, ლეიბორისტები, ახალი მემარჯვენეები, კუკავა-ბურჯანაძე-გაჩეჩილაძის კოალიცია, არჩევნებზე წავლენ ასევე „მრეწველები“, „ევროპული დემოკრატები“, ეროვნულ დემოკრატიული პარტია და მინდია გულუას ახალშექმნილი პარტიაც. არ არის გამორიცხული, რომ ამ პარტიებმაც შექმნან საარჩევნო ბლოკები, ამასთან არჩევნების წინ სხვა პარტიებიც გააქტიურდენიან და ოპოზიციურ ფლანგზე აუცილებლად მივიღებთ 8-10 საარჩევნო სუბიექტს.**

**— ივანიშვილის გუნდში ფიქრობენ, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე გამარჯვებისთვის „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ იბრძოლებენ, დანარჩენების ამოცანა კი მხოლოდ ბარიერის გადალახვა იქნება.**

— ამ ვერსიის მომხრეებს ის ავიწყდებათ, რაც ზემოთ ავღნიშნე. **როდესაც მაჟორიტარულ ოლქებში ოპოზიცია და დამოუკიდებელი მაჟორიტარი კანდიდატები იბრძოლებენ ერთი საარჩევნო ოლქში ხმების მოპოვებაზე, ხმებს მხოლოდ ერთმანეთს წაართმევენ, ვინაიდან „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველი არის მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველი და 30%-იანი მაჟორიტარული ბარიერის პირობებში თითქმის ყველა საარჩევნო ოლქს მოიგებს ხელისუფლება. ასეთი მაგალითი ბევრი გვინახავს განვლილ საპარლამენტო არჩევნებში.**

მივაქციოთ ყურადღება იმასაც, რომ ივანიშვილის კოალიციაში დასავლეთზე ორიენტირებული ძალები არიან. თუ გავაანალიზებთ იმას, რომ 2011 წელს საქართველოში 12 %-ით გაიზარდა რუსეთიდან ფულადი გზავნილები ეს ნიშნავს, რომ ან 12%-ით მეტი ქართველი ჩავიდა რუსეთში, ან იქ მყოფმა ქართველებმა 12%-ით მეტი ფული იშოვეს და გამოუგზავნეს თავიანთ ოჯახებს, რაც თავისთავად იმის წინაპირობაა, რომ მათი ოჯახები ორიენტირებულები იქნებიან რუსეთთან ურთიერთობის დათბობაზე და ამ ხალხის ხმები იმ პარტიებზე გადანაწილდება, რომელიც რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაზე საუბრობენ და არა ივანიშვილის მკვეთრად პროდასავლურ გუნდზე.

**— ივანიშვილის პარტნიორები ვარაუდობენ, რომ ყველა ოპოზიციური ძალა ერთად 20%-ზე მეტს ვერ წაართმევს ივანიშვილს და არ გამორიცხავენ კოალიციის შექმნას პარლამენტში შესულ სხვა ოპოზიციურ ძალებთან.**

— როდესაც დღეს ვერ ქმნიან კოლიციას და ერთიან საარჩევნო ყულაბაზე ვერ თანხმდებიან, რთულად წარმომიგენია, რომ პარლამენტში შესულმა ფრაქციებმა კოლიციურად დაიწყონ რეალური მუშაობა. შესაძლებელია, პარლამენტში ვიზუალურად ვინმეს მოეჩვენოს, რომ ოპოზიციური ძალები ერთად იქნებიან, მაგრამ პრინციპულ საკითხებში ვინ რა როლს შეასრულებს, საკითხავია. ასე რომ, მთლად პარლამენტის მომავალი ერთობის იმედი ნუ ექნებათ. იმის მაგალითებიც არსებობს, რომ ბევრი პოლიტიკოსი, რომლებიც პარლამენტში შესვლამდე რადიკალიზმით გამოირჩეოდნენ, პარლამენტარის თბილმა და კომფორტულმა სავარძელმა სრულიად სხვა ამპლუაში დაგვანახა. ამიტომაც **გაუგებარია, როდესაც ოპოზიციური ძალები ასეთი ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ არ ერთიანდებიან. პარლამენტში კოალიციის შექმნა მეეჭვება. კოალიციის საკითხი დღეს არის გადასაწყვეტი. მესმის, რომ ძალიან კარგად გრძნობენ თავს ის ოპოზიციური პარტიები, რომლებიც უკვე ივანიშვილის კოალიციაში აღმოჩნდენ, ბატონმა ბიძინამ მათი რეიტინგი საგრძნობლად გააცოცხლა და ფინანსურადაც უზრუნველყო ისინი, მაგრამ მათ უნდა დაძლიონ ვიწრო პარტიული ინტერესი და იფიქრონ იმაზე, რომ მოსახლეობამ იგრძნოს შვება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ.** მცდარი პოზიციაა, — მოდი, ახლა არავის მივიკარებთ, პარლამენტში დიდი ფრაქციით შევალთ, რამდენიმე მინისტრის პოსტსაც მოვიპოვებთ და 2013 წლის საპრეზიდენტო აჩევნებისთვის მოვემზადებით, რის შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის“ საბოლოო დემონტაჟი მოხდებაო, — ეს იქნება კიდევ ერთი ილუზია. გამოვრიცხავ, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2013 წელს უუფლებო პრეზიდენტის თანამდებობაც კი დაუთმოს ვინმეს სერიოზული ბრძოლის გარეშე, თუნდაც ამ რეკომენდაციას დასავლეთი ან აშშ აძლევდნენ. თუ კოალიცია არ გაფართოვდა, ვერანაირად ვერ მოვა უმრავლესობაში.

**იზო რიკაძე,**
Presage.tv

**„ობიექტივი“ ყინვების პერიოდში**

# უსახლკარო ადამიანებს თავშესაფრად საკუთარ ოფისს სთავაზობს

**მედია-კავშირი „ობიექტივის“ ხელმძღვანელი ირმა ინაშვილი საზოგადოებას ინიციატივით მიმართავს — „ობიექტივს“ მიაწოდონ ინფორმაცია იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც ღამეს ქუჩაში ათევენ.**

მისი განცხადებით ადამიანები ყინვისაგან იღუპებიან, სახელმწიფოს კი, უსახლკარო ხალხისთვის ერთი თავშესაფარიც არ აუმოქმედებია.

„ხელისუფლება იმის მაგივრად, რომ საკუთარ მოქალაქეებზე ზრუნავდეს, მოსახლეობის მიზანმიმართულ გენოციდს აწარმოებს. თუმცა ადამიანები რომ იყინებიან, არა მარტო ხელისუფლების, არამედ ჩვენი, საზოგადოების პრობლემა და სირცხვილიცაა. მერე რა, რომ ყველას გვიჭირს, სამოქალაქო სოლიდარობის გამოხატვა ხომ შეგვიძლია?! „ობიექტივი“ მზადაა საკუთარ ოფისში უსახლკარო ადამიანებს თავშესაფარი გამოუყოს. ჩვენ არ გვაქვს მილიონები და არც ადმინისტრაციული რესურსი (როგორც ხელისუფლებასძ, თუმცა ის მაინც შეგვიძლია, რომ ვისაც ღამის გასათევი არ აქვს, ყინვების განმავლობაში მივიღოთ, დავაძინოთ და ცხელი ჩაიც მივართვათ“, — განაცხადა ინაშვილმა.




მედიაკავშირის ინიციატივას მსმენელები და მაყურებლები გამოეხმაურნენ. მათ მიუსაფარი ადამიანების დასახმარებლად სხვადასხვა სახის შემოწირულობები მიიტანეს, როგორც პროდუქტის, ასევე თბილი ტანსაცმლის სახით, ბევრმა მათგანმა ვინაობის გამხელა არ ისურვა.

„ობიექტივს“ დახმარებისთვის უკვე მიმართა რამდენიმე ათეულმა ადამიანმა, როგორც თბილისიდან, ასევე რუსთავიდან. მედიაკავშირში მოსული გაჭირვებული ხალხი, დააპურეს და თბილი ტანსაცმელი გადასცეს.

შემოწირულობების მიღება და მიუსაფარი ადამიანების დახმარება კვლავ გრძელდება. შეგახსენებთ, რომ 11 თებერვალს, გამთენიისას დამწვრობის ცენტრში ყინვისგან უსახლკარო პაციენტი, 45 წლის მამაკაცი დაიღუპა. ცენტრში კიდევ რამდენიმე პიროვნება იმყოფება. მათი ზუსტი რაოდენობის დადგენა ვერ მოხერხდა, რადგანაც „დამწვრობის ცენტრის“ თანამშრომელმა, რომელმაც როგორც იქნა ტელეფონს უპასუხა, ჟურნალისტი ინფორმაციის დასაზუსტებლად მერიის პრესსამსახურში „გადაამისამართა“.

**მედიაკავშირი „ობიექტივის“ მისამართია: ძმები კაკაბაძეების ქ. №2. კინოს სახლი, მე-3 სართული. ტელეფონი: 2-388-105.**

**გია გაბრიჭიძე**

კვალი დროში

# მუდამ მოყვასზე ფიქრით

## გაიოზ ნოზაძე – 75

**ცნობილი სენტენცია – „ვილოცოთ, რომ ლამაზ სხეულში ლამაზი სული იყოს!“, მხოლოდ კარგი გაგებით ესადაგება გაიოზ ნოზაძის პიროვნებას. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გაიოზ ნოზაძე ყოველმხრივ შემკული, ანუ სრულქმნილი პიროვნებაა: სიმპათიური, ზნეკეთილი, ჭკვიანი, საქმით პატრიოტი და მეგობართა ნუგეშისმცემელი...**

გაიოზ ნოზაძე ნოზაძეთა საგვარეულოს ღირსეული წარმომადგენელია. მისი მდიდარი შრომითი ბიოგრაფია თითქმის ნახევარ საუკუნეს მოიცავს და სადაც კი იმოღვაწა, ყველგან კეთილსინდისიერებით, შრომისმოყვარეობით, სამართლიანობით და პატიოსნებით გამოირჩეოდა. როგორც თაობის ერთ-ერთ ლიდერს, მას ახალგაზრდობიდანვე მაღალი თანამდებობები ეკავა, მაგრამ უპატიოსნეს ოჯახში აღზრდილ ახალგაზრდას განვლილი ცხოვრების განმავლობაში ხალხთან და თანამშრომლებთან ურთიერთობაში წონასწორობა არასოდეს დაუკარგავს. რაიკომის პირველ მდივნად პატიოსნად მუშაობა არ იყო იოლი საქმე. ხშირად ადგილის „გაფუჭებას“ არავინ გაპატიებდა, მაგრამ გაიოზ ნოზაძემ თავისი პიროვნული ხიბლის, პრინციპულობის წყალობით შეძლო ამ ბარიერის გადალახვა და ახლა, როდესაც ზოგიერთ თანამდებობის პირს საკუთარი რაიონისკენ გახედვა ეუხერხულება, გაიოზ ნოზაძეს თავის მშობლიურ ჭიათურასა თუ ბაღდათში, სადაც ის ხელმძღვანელად მუშაობდა, დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ხვდებიან. ამიტომ, სულაც არ იყო შემთხვევითი, რაიონიდან წამოსვლის 5 წლის შემდეგ, 1995 წელს საქართველოს პარლამენტში ბაღდათის მოსახლეობამ დეპუტატად რომ აირჩია. ასეთი რამ მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. მან თავის დროზე სიკეთე დათესა და ხალხის სიყვარულიც მოიმკო.

გაიოზ ნოზაძე 1937 წლის 14 თებერვალს დაიბადა ჭიათურაში. დედა – თამარ ტყემალაძე დამსახურებული პედაგოგი იყო, მამა, პლატონი – დამსახურებული მეგზევე-ინჟინერი. დამთავრებული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რითაც მთელი სიცოცხლე ამაყობდა. მან დიდი წვლილი შეიტანა ჭიათურისა და საჩხერის რაიონების აღმშენებლობაში.

გაიოზ ნოზაძე 1955 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც 1960 წელს დაასრულა ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით, ხოლო 1977 წელს მოსკოვში წარჩინებით დაამთავრა უმაღლესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აკადემია და მიიღო ეკონომისტ-საზოგადოებათმცოდნის სპეციალობა.

მისი შრომითი საქმიანობა ჭიათურაში 1960 წელს ტრესტ „ჭიათურმანგანუმმშენში“ დაიწყო. ამ ქალაქში მან 20 წელიწადი იღვაწა. 1973-1980 წლებში პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი იყო. 1980 წელს პარტიის ბაღდათის რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს, სადაც 10 წელი დაჰყო.

მისი უშუალო მონაწილეობით ქ.ჭიათურასა და ბაღდათის რაიონში მრავალი სოციალური და კულტურული, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტი ამოქმედდა, ამის საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის რეკონსტრუირებული შენობა, მაღაროელთა კულტურის სასახლე, სპორტული კომპლექსი, სატროლეიბუსო ხაზი ჭიათურა-საჩხერეს შორის, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, საავადმყოფო კომპლექსი, საავტომობილო გზები, მანგანუმის მადნის ახალი მიწისქვეშა სიმძლავრეები და გამამდიდრებელი ფაბრიკები, ბაღდათში რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის ცენტრი, მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის სალიტერატურო დარბაზი, კურორტ საირმის ობიექტები, ათეულობით ახალი სკოლა და საბავშვო ბაღი, საცხოვრებელი სახლები, სოფლის ადმინისტრაციული ცენტრები და მრავალი სხვ.



1990 წლის აპრილში გ.ნოზაძე გადაიყვანეს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილედ, შემდეგ იყო მინისტრთა კაბინეტის წამყვანი, მთავარი სახელმწიფო მრჩეველი, საგანგებო სიტუაციების, ლტოლვილთა და განსახლების სამსახურის უფროსი.

როგორც უკვე ვთქვით, 1985-1990 წლებში მაიაკოვსკის რაიონის დიმის საარჩევნო ოლქიდან არჩეული იყო საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ხოლო 1995-1999 წლებში ბაღდათის რაიონიდან მაჟორიტარული წესით აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად. იმ მოწვევის პარლამენტში იყო ფრაქცია „იმედის“ თავმჯდომარის მოადგილე, მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, კორუფციასთან ბრძოლის დროებითი კომისიის წევრი, ცხინვალის რეგიონის პრობლემების შემსწავლელი დროებითი კომისიის წევრი.

გაიოზ ნოზაძე აქტიურად მონაწილეობდა ქვეყანაში შექმნილი საგანგებო სიტუაციების, მათ შორის, სვანეთიდან და მთიანი აჭარიდან სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სხვა რაიონებში ჩასახლების, 1991 წლის 29 აპრილს მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შედეგად წარმოშობილი პრობლემების მოგვარებაში. როგორც რესპუბლიკური შტაბის წევრი, 1993 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, უშუალოდ მონაწილეობდა აფხაზეთის ტერიტორიიდან ურთულეს პირობებში დევნილთა ჭუბერის უღელტეხილის გავლით ორგანიზებულად გადმოყვანაში. როგორც შერეული საკონტროლო კომისიის წევრი, აქტიურად მონაწილეობდა ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების, დაზიანებული ობიექტების აღდგენის პროცესში. ამასთან, გაიოზ ნოზაძე კოორდინაციას უწევდა სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის საკითხებს და როგორც საპარლამენტო მდივანი, უშუალოდ მონაწილეობდა კანონშემოქმედებით საქმიანობაში.

**გავიდა წლები. დღეს გაიოზ ნოზაძე დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებს, – ნოზაძეთა საგვარეულო კავშირის „ვიქტორ ნოზაძის საზოგადოების“ თავმჯდომარეა. საზოგადოება აპირებს გამოსცეს ამ დიდი მამულიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა – თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. მოკლე ხანში გამოვიდა სამი ტომი. საზოგადოება მიზნად ისახავს სხვა ეროვნული საკითხების გადაწყვეტას, კერძოდ, ვიქტორ ნოზაძის მშობლიურ სოფელში დიდი მეცნიერის სახლ-მუზეუმის გახსნას.**

გაიოზ ნოზაძის ღვაწლი ხელისუფლებამ ჯეროვნად დააფასა: იგი დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის ორდენით“, მედლებით, საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელებით. 2002 წელს კი საქართველოში სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციაში, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების ურთულეს კლიმატურ პირობებში ორგანიზებულად გამოყვანასა და მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისთვის, აქტიური კანონშემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის ქართულ-ოსურ კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალთა დაბრუნების ხელშემწყობი სპეციალური კომიტეტის თავმჯდომარე გაიოზ ნოზაძე დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

გაიოზ ნოზაძეს ტრადიციული ქართული ოჯახი აქვს. მისი მეუღლე მარინა მოდებაძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო კონსტრუქციების კათედრის თანამშრომელია. მათ ორი ვაჟი აღზარდეს – პლატონი და მამუკა. ნოზაძეებს ჰყავთ ხუთი შვილიშვილი – თამარი, გიზო (გაიოზი), ეკატერინე, მარიამი და ლაზარე.

გაიოზ ნოზაძეს მრავალი ეროვნული საქმე აქვს გაკეთებული, მას ბევრისთვის დახმარების ხელი გაუწვდია, მაგრამ თავის თავზე, თავის დამსახურებაზე არასოდეს უსაუბრია – კეთილ საქმეს ყოველთვის უჩუმრად, მონდომებით და შესანატრი ერთგულებით აკეთებდა. სწორედ ამ მხრივაც არის საინტერესო ცნობილი ქართველი პოეტის, ენამჭევრი და ენამზიანი ჩვენი საზოგადო მოღვაწის გენო კალანდიას დაუვიწყარი მოგონება – „ნუგეშისმცემელი“, რომელიც სოხუმის დაცემის შემდეგ, 1993 წლის ოქტომბრის ტრაგიკულ ამბებს ეხება და შესანიშნავად წარმოაჩენს გაიოზ ნოზაძის ნათელ პიროვნებას...

„...მე, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრი, – წერს ბატონი გენო, – ბატონ გაიოზ ნოზაძის წინადადებით საგანგებო შტაბის წევრად დამამტკიცეს ბორის სარალიძესთან, ლია ცინდელიანთან, ივერი ჭელიძესთან, მამუკა მინდელთან, კახა კვიციანთან ერთად... დაიწყო ჩვენი ოცდაოთხსაათიანი სამუშაო რეჟიმი დევნილთა გადასარჩენად. იშვიათად შემხვედრია ადამიანი, რომელსაც ასე ყვარებოდა თავისი ხალხი, გულთან ასე მიეტანოს მოყვასის მწუხარება და გასაჭირი. ბატონი გაიოზი ყველგან ასწრებდა, საკუთარი ხელით ურიგებდა დამშეულთ და უპოვართ სურსათ-სანოვაგესა და თბილეულს, ავტობუსებით, ვერტმფრენებით, უბრალო საბარგულებით აგზავნიდა თბილისის, ზუგდიდისა და ქუთაისის მიმართულებით.

სამი კვირა ძმასავით მიპატრონა გაიოზ ნოზაძემ, ფსიქოლოგიური სტრესიდან ნელ-ნელა გამომიყვანა. ჩემი თანამემამულეების ტრაგედიაში უფრო ღრმად ჩამახედა და... სამუდამოდ იქ გავჭაღარავდი.

... მე ეს მახსოვს, ეს ახსოვთ ჩემს თანამემამულეებს, ჩვენს კეთილმსურველებს“.

**მართლაც რომ ნამდვილი ვაჟკაცი ქართველი კაცის სისხლსავსე პორტრეტია. თითქმის ვერაფერს დაამატებ.**

**დიდხანს იცოცხლეთ და ილვაწეთ სიკეთითა და სულიერი სიმაღლით გამორჩეულო ძმაო და მეგობარო!**

**ელგუჯა ნოზაძე, თეიმურაზ ხაზარაძე, სიმონ ნოზაძე, ჭაბუკი ნოზაძე, გურამ ქაშაკაშვილი, გურამ გოგიაშვილი, სპარტაკ ქობულია**

ოჰ, ეს თითლიბაზი მთავრობა!

# შეაგროვე გროშები, ოღონდ საკუთარი ჯიბიდან

(მეხუთე გვერდიდან) წარმოუდგენელი რამ მოხდა, ხალხში გავრცელებული ინფორმაციით, მოკლე პერიოდში მოგების წყალობით ქვეყანაში იმდენი ფული დახვავდა, აქაური ბანკები რომ ველარ აუთავდნენ მის რეცხვას, მოხერხებულმა ბიჭებმა (იმავე ხელისუფალთა) თურმე მისი ერთი ნაწილი გასათეთრებლად საზღვარგარეთის ბანკებში გაზიდეს.

ყველა ამ მიღწევიდან უმთავრესი მაინც ის არის, რომ ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა ერთხელ გადადგმულ ნაბიჯს აღარ უღალატეს და რახან მიეჩვივნენ მოგებას, გადაჩვევას საერთოდ აღარც აპირებენ. ეს გამოჩნდა კიდეც აგვისტოს ომის დღეებში, როცა საქართველოს მთავრობამ რუსეთთან ფაქტობრივად წაგებული ომი ფაქტობრივად მოგებულად გამოაცხადა და მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ მოგებას მიჩეული ქართველი ნაცები არასდროს და არავისთან აგებენ.

ეს მიშნაცები, მაგრამ რაც შეგვეხება ჩვენ, მიშას მოგებულ ქვეყანაში მცხოვრებ წაგებულ და სანახევროდ მშიერ ადამიანებს, გვევალება მხარი არ მოვტეხოთ ერის მოამაგე ნაციონალებს, თავები გავანძრიოთ, დავაკვირდეთ, რა გზებითა და ხერხებით დააგროვა მილიარდები ხელისუფლებამ და ლატარიით იქნება თუ კარუსელით, მომჭირნეობითა თუ თვითგვემით, რაღაცა მოგებას ჩვენც გამოვკრათ ხელი. მით უფრო თუ ასეთი მოგებისთვის ხელსაყრელ პირობებს თავად ხელისუფლება გვიქმნის.

ვიცი, ბევრი ამიშარდება, რა სისულელეებს ლაპარაკობს ეს კაცი, როდის აქეთია ჩვენმა მთავრობამ ხალხის მოგებაზე ზრუნვა დაიწყოო. ამის პასუხად მე მათ შევთავაზებდი ახლახან გამოცემულ მთავრობის №489 დადგენილებას, რომელიც თითოეულ ჩვენგანს გვამცნობს, რომ მიმდინარე წლის 1 იანვრიდან თუ მობილური ტელეფონით თვეში 5 ლარზე მეტს დავხარჯავთ, სამაშველო სამსახურის (112-ისა) საფასური 20 თეთრი (იურიდიულ პირებს – 50 თეთრი) ანგარიშიდან ავტომატურად დაგექვითება. ოფიციალურად ეს სახელმწიფოს მიერ დადგენილი ტარიფია, რომელიც სხვა გადასახადებისგან იმით არის გამორჩეული, რომ დავრეკავ თუ არ დავრეკავ ხსენებული სამსახურის ნომერზე, ფული მაინც უნდა გადავიხადო. ბევრი მიამიტი, საქმეში ჩაუხედავი ადამიანი, კანონის ამ ორიგინალურ თავისებურებას მიიჩნევს აბსურდად – რატომ უნდა გადავიხადო ფული იმ მომსახურებაში, რომელიც არ გაუწევიათო? არადა, თუ კარგად დაუკვირდები, მიხვდები, რომ ეს ყველაფერი თურმე შენ სასარგებლოდ არის გაკეთებული. კანონი თურმე იმიტომ გაიძულებს გამოუძახებელი სამაშველო სამსახურისთვის ფულის გადახდას, რომ ენას კბილი დააჭირო, თვეში 5 ლარზე მეტი არ ილაქლაქო და ამ დანაზოგით შენს პირად ბიუჯეტში, რაღაც გროშები დააგროვო(!).

ზოგი ვინმე ჩასაფრებული და „პუტინის პროექტით“ თავგზააბნეული ოზივატელი მარტო იმას ანგარიშობს, რამდენი მილიონი მობილური ტელეფონია საქართველოში, მათზე 20 და 50-თეთრიანი გადასახდის შეწერით წელიწადში რამდენ მილიონს ჩაიჯიბავს ვანო მერაბიშვილის უწყება, მაგრამ იმას აღარ ითვლის, იმავე ოდენობის ტელეფონებზე ამ გროშების დაზოგვით, მოსახლეობას რა მნიშვნელოვანი თანხით (ბევრ ოჯახში 5-7 მობილურია) შეუძლია გაამდიდროს საკუთარი ოჯახის ბიუჯეტი!

აღარაფერს ვამბობ იმაზე, თუ რა შეღავათი მისცა წლევანდელ უჩვეულოდ ყინვა-თოვლიან ზამთარში ხალხს თბილისის მერიის მიერ გონივრულად მოფიქრებულმა დენზე მიბმულმა წყლის გადასახადმა და შემდეგ იმავე დენზე ამირანივით ჯაჭვით მიბმულმა წყლის გადასახადმა (ბევრმა პენსიონერმა და სოციალურად გაჭირვებულმა ამ ყიამეთში დენი საერთოდ გამორთო და დაზოგილი გროშებით დიდძალი მოგება დააგროვა!?), რომლის ავტორად ქალაქის ნაწრთობ-ნამაშვრალი თავკაცი გიგი უგულავა მოგვევლინა. უმადურობას რა ვუთხარი, თორემ სხვა შემთხვევაში სულაც არ იქნებოდა საკვირველი, პრეზიდენტ სააკაშვილს უგულავა ბრწყინვალების თუ არა, ღირსების ორდენით მაინც დაეჯილდოებინა.

თუმცა, რა საჭიროა ჯილდოები, როცა საქართველოს ხელისუფალნი ამას პირადი განდიდებისა და სიმდიდრის დაგროვების მიზნით კი არ აკეთებენ (ისედაც უთვალავ-აუწონავი ქონება აქვთ), არამედ მოგებისკენ როგორმე კანონებითა თუ დადგენილებებით ჩვენს მისატყუებლად და მისაჩვევად. ისიც კარგია, რომ ასეთ მოგებას, საკუთარი ჯიბის სასარგებლოდ, იმავე კანონებით გვაიძულებენ კიდეც, თორემ ხალხი ამ „მადანს“ თავისით როგორ მიაგნებდა(!).

**ოთარ ხუციშვილი**

## მთავარი საფრთხე ჩვენი შიდა დაპირისპირებაა!

# როგორც არასდროს, მოთმინება და პრაგმატიზმი გვჭირდება



მიუნხენის კონფერენციისა და აშშ-ში საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტის შედეგებზე, ასევე იმაზე, სავარაუდოდ, რით განსხვავდება „ქართული ოცნების" საგარეო პოლიტიკა ხელისუფლების საგარეო-პოლიტიკისგან, **„ინტერპრესნიუსი"** საქართველოს უშიშროების საბჭოს ექსმდივანსა და საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრს, „ქართული ოცნების" საგარეო პოლიტიკის ჯგუფის ხელმძღვანელს **თედო ჯაფარიძეს** ესაუბრა.

**— ბატონო თედო, თქვენ უსაფრთხოების საკითხებზე მიუნხენის 48-ე კონფერენციიდან დაბრუნდით, შესაბამისად, უპრიანი იქნებოდა საუბარი სწორედ კონფერენციის შედეგებსა და იმაზე დაგვეწყო, თუ რა ხდება მნიშვნელოვანი თანამედროვე მსოფლიოში და უშიშროების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რა მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს საქართველოს საერთაშორისო თანამეგობრობისაგან?**

— როგორც ყოველთვის, წლევანდელი მიუნხენის კონფერენციაც ძალზედ საინტერესო იყო. ტრადიციულად მასზე ამერიკისა და ევროპის წამყვანი პოლიტიკოსები გამოვიდნენ, მათ შორის: აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი, აშშ-ის თავდაცვის მდივანი ლეონ პანეტა, გერმანიის საგარეო და თავდაცვის მინისტრები, პოლონეთის პრეზიდენტი, აზერბაიჯანის პრეზიდენტი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი და ბევრი სხვა უმაღლესი დონის ექსპერტი და პოლიტიკოსი. სამწუხაროდ, ამ კონფერენციაზე ვერ დავესწარი საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლას, რომელიც წინასწარ არ იყო დაგეგმილი (ყოველ შემთხვევაში, კონფერენციის ოფიციალურ პროგრამაში ის არ ფიგურირებდა და მეც ამ დროისათვის უკვე სხვა -ევროატლანტიკური უშიშროების ინიციატივის – კონფერენციაში ვმონაწილეობდი). როგორც შემდგომ გავიგე, მიხეილ სააკაშვილმა მონაწილეობა მიიღო ბოლო დღეს გამართულ დისკუსიაში, რომელიც „არაბულ გაზაფხულთან" დაკავშირებულ მოვლენებს ეხებოდა და შეეცადა, პარალელები გაევლო „ვარდების რევოლუციასა" და იქ მომხდარ ამბებს შორის. სიმართლე გითხრათ, ჩემი ყველა მცდელობა, რამე კომენტარი ან შეფასება მომეპოვებინა ამ გამოსვლასთან დაკავშირებით, უშედეგოდ დამთავრდა. კონფერენციის მონაწილეებმა, თითქოს შეგნებულად, ყურადღების მიღმა დატოვეს საქართველოს პრეზიდენტის ეს იმპროვიზირებული ინტერვენცია ამ დისკუსიის დროს. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა. რაც შეეხება თვით კონფერენციაზე განხილულ საკითხებს, ისინი ძირითადად, თანამედროვე უშიშროების ძირითად საკითხებზე იყო ორიენტირებული. დისკუსია ამერიკელ და ევროპელ პოლიტიკოსებს შორის წარიმართა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ უნდა იყვნენ უფრო აქტიურნი ევროპელები უსაფრთხოების ახალ რისკებთან და გამოწვევებთან დაკავშირებით ისე, რომ მთელი ეს ტვირთი მხოლოდ აშშ-ზე არ იყოს ჩამოკიდებული. რა თქმა უნდა, განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისი, როგორც მსოფლიო წესრიგისა და მდგრადობისთვის ერთ-ერთი საფრთხე. განიხილებოდა კონკრეტული კრიზისული მოვლენები სირიაში და კიდევ ბევრი საინტერესო საკითხი. როგორც გავიგე, იქვე, მიუნხენის კონფერენციის მიმდინარეობის პერიოდში, შედგა უკვე მეორე ქართულ-რუსული დიალოგი, რომელშიც საქართველოს მხრიდან (და ეტყობა საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნის საფუძველზე) მონაწილეობდნენ რატომღაც მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლები და სახელისუფლებო ექსპერტები. ამ შეხვედრას რუს ექსპერტებთან ერთად უცხოელი მეთვალყურენიც ესწრებოდნენ. უცხოელი ექსპერტების გადმოცემით, ბოლო შეხვედრაზე საქართველოს წარმომადგენლებს ნაკლებად ხისტი პოზიციები ეკავათ, ვიდრე შარშან – როგორც ითქვა, უფრო მეტად „დამთბარები" იყვნენ. მე, გასაგები მიზეზების გამო, ამ შეხვედრის დეტალები არ ვიცი, მაგრამ კარგია, რომ მიუნხენის კონფერენცია, თუნდაც მისი ფორმატის მიღმა, დიდ გლობალურ საკითხებთან ერთად, ამ თითქოსდა „ლოკალურ" საკითხებზე მსჯელობის საშუალებას იძლევა.

**— ობამა-სააკაშვილის შეხვედრის შემდეგ ქართულ საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში ყველაზე აქტუალური და საინტერესო თემაა, თუ რა უთხრა ვაშინგტონმა საქართველოს პრეზიდენტს მისსავე პოლიტიკურ მომავალთან დაკავშირებით. ამ საკითხზე თქვენი აზრი როგორია?**

— ამ შეხვედრასთან დაკავშირებით ბევრი რამ ითქვა. რაღა თქმა უნდა, თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში საქართველოს პრეზიდენტის ნებისმიერი შეხვედრა ჩვენი ქვეყნის წარმატებად უნდა ჩაითვალოს – იქნება ეს მოლაპარაკების დაწყება თავისუფალი ვაჭრობის თაობაზე თუ თანამშრომლობის გაღრმავება საქართველოსა და ამერიკას შორის. ეს პერსპექტიულია ჩვენი ქვეყნისათვის, ისევე როგორც (და განსაკუთრებით), პრეზიდენტ ობამას გზავნილი, რომ საქართველოში უნდა მოხდეს ხელისუფლების ოფიციალური გადაცემა თავისუფალი არჩევნების გზით. არ მახსოვს, რომ ორმხრივი ურთიერთობების დამყარების შემდგომ პერიოდში, რომლის 20 წლისთავსაც ვზეიმობთ, ამერიკის რომელიმე პრეზიდენტს ოდესმე გაეკეთებინოს მსგავსი კონკრეტული განცხადება.

**— რამდენად სავარაუდოა, რომ ამერიკიდან დაბრუნებული საქართველოს ხელისუფლება თავად გახდეს ინიციატორი, რომ სერიოზული შესწორებები შეიტანოს საარჩევნო კანონმდებლობაში, რომლითაც მას, საარჩევნო კანონმდებლობისა და პოლიტტექნოლოგიების ექსპერტთა უმრავლესობის შეფასებით, შემოდგომაზე დაგეგმილ პარლამენტის არჩევნებში გამარჯვება პრაქტიკულად გარანტირებული აქვს?**

— საკითხი ასე უნდა დავაყენოთ: მოდით გავმართოთ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, პირველ რიგში საქართველოს მოქალაქეებს მივცეთ სრულყოფილი არჩევანის გაკეთების, უცხოელ მეთვალყურეებს კი სრულმასშტაბიანი და გრძელვადიანი მონიტორინგის განხორციელების საშუალება და ამის შემდეგ შევადაროთ პოლიტტექნოლოგების და ექსპერტების პროგნოზები. რა თქმა უნდა, ყველაფერი მოსალოდნელია, თუმცა ვფიქრობ, რომ ჩვეული „საარჩევნო მისტიციზმის" განხორციელება ხელისუფლებას ამჯერად ძალიან გაუჭირდება.

**— ცნობილია, რომ „ქართული ოცნების" საგარეო პოლიტიკის ჯგუფს, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ, დაწყებული აქვს ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტებზე მუშაობა და ერთიანი მიზნების გააზრება. ამ ეტაპზე ის მაინც თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რით იქნება განსხვავებული თქვენი საგარეო პოლიტიკა ამჟამინდელი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკისგან?**

— ჩვენი ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მიზანია – საქართველოს ეროვნული ინტერესების პერსპექტივიდან და, რა თქმა უნდა, მისი საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების გათვალისწინებით თანამედროვე მსოფლიოს გეოპოლიტიკური ხედვის შესაბამისად, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კონცეპტუალური საფუძვლებისა და სტრატეგიული პრიორიტეტების დამუშავება. რასაკვირველია, ჩვენს სტრატეგიულ კურსად რჩება ევროატლანტიკურ და ევროპულ სტრუქტურებთან მჭიდრო თანამშრომლობა, ამ სტრუქტურებში ინტეგრაციის რეალისტური პერსპექტივების გათვალისწინებით და რომ ამ მიმართულებით საქმიანობა კიდევ უფრო ინტენსიური და პრაქტიკული უნდა გახდეს. მეორე მხრივ, აღსადგენია ურთიერთობების სტრატეგიული ღერძი რუსეთთან, რაც დღეისათვის არ არსებობს და რის გარეშეც, საერთოდ, წარმოუდგენელია საუბარი რამდენადმე წარმატებულ საგარეო პოლიტიკაზე ნებისმიერ ორ ქვეყანას შორის, განსაკუთრებით კი ისეთ ქვეყანასთან, როგორიც რუსეთია. ორივე მხარე ხშირად მიმართავს ხოლმე ნეგატიურ რიტორიკას, რაც პიარის მიზნებისთვის გამოიყენება. გავიმეორებ ჩემს მოძველებულ თეზას: ჩვენ ის კი არ უნდა გვაკმაყოფილებდეს, რომ რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობებში საქართველოს საკითხი უთანხმოების ობიექტად რჩებოდეს, არამედ მთავარი ძალისხმევა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობებში საქართველოს საკითხი უთანხმოების ობიექტიდან შეთანხმების ობიექტად იქცეს. რასაკვირველია, ყველა ჩვენი ლეგიტიმური და სასიცოცხლო ინტერესების გათვალისწინებით. ეს არ არის ადვილი საქმე და რუსეთი ტრადიციულად ურთულესი და ხისტი პარტნიორი იქნება, განსაკუთრებით კი 2008 წლის ომის შედეგების გათვალისწინებით. საერთოდ, უფრო პრაგმატულად უნდა მივუდგეთ ჩვენს ურთიერთობებს გარე სამყაროსთან.

**— რა პასუხს გასცემდით ხელისუფლებას, რომლის მტკიცებითაც, „ქართული ოცნება" და მისი ლიდერი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში კრემლის სასარგებლო საგარეო პოლიტიკას განახორციელებს?**

— მე უკვე პოლიტიკაში ვარ და ქართული პოლიტიკისათვის დამახასიათებელი რიტორიკით და ლექსიკით შემიძლია გიპასუხოთ, რომელიც, ალბათ, ბევრ ქართველ პოლიტიკოსს, სახელისუფლებოს თუ ოპოზიციურს და თუნდაც ამგვარ „დისკურსს" შეჩვეულ თქვენს მკითხველს, მოეწონებოდა კიდეც. მაგრამ „ქართული ოცნების" ხელმძღვანელის და მოძრაობის სხვა წევრების მიდგომა საგარეო-პოლიტიკური საკითხებისადმი რადიკალურად განსხვავებულია საქართველოში მიღებული კლიშეებისა და სტერეოტიპებისაგან, ან თუნდაც იმ ნარატივებისაგან, რომლებზედაც მთელი დღევანდელი საგარეო-პოლიტიკური პარადიგმაა აგებული და რაც – ეს ყველაზე უფრო სამწუხაროა – დიამეტრულად განსხვავდება იმ არსებული რეალობისგან, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანაში და მის გარეთ არსებობს. ბიძინა ივანიშვილმა უკვე ბევრჯერ განაცხადა საჯაროდ, რომ მისი საგარეო-პოლიტიკური კურსი (და, სხვათა შორის საშინაოც, რომელმაც პრინციპულად უნდა განსაზღვროს საგარეო-პოლიტიკური პარამეტრები) დაფუძნებული იქნება რეალიზმზე, პრაგმატიზმზე და არსებული პოლიტიკური სიტუაციის (რასაც დასავლეთში „რეალპოლიტიკს" ეძახიან) ადეკვატურ აღქმაზე. ჩვენ ორიენტირებულები ვიქნებით ისეთი ალტერნატივების შემოთავაზებაზე, რომლებიც კი არ დაძაბავენ ან შეეცდებიან, განხეთქილება შეიტანონ მსოფლიო პოლიტიკის არსებულ დღის წესრიგში, არამედ მოძებნიან ინტერესთა იმ ბალანსს, რომლითაც საქართველო შესძლებს, დადებითი მუხტი შეიტანოს ამ უაღრესად ტურბულენტურ და გადატვირთულ მსოფლიო პოლიტიკურ პროცესში. თქვენს კონკრეტულ კითხვაზე ბიძინა ივანიშვილმაც და მისი გუნდის სხვა წევრებმაც უკვე ბევრჯერ გასცეს პასუხი: ჩვენი საგარეო-პოლიტიკური ვექტორები უცვლელია – ევროატლანტიკური და ევროპული ინტეგრაციისადმი სწრაფვა, ამასთან დაკავშირებული არსებული ვალდებულებების შესრულება, კეთილმეზობლური ურთიერთობების განვითარება უახლოეს სამეზობლოსთან. არც ერთი ეს მიმართულება თუ პრიორიტეტი ადვილად მისაღწევი არ არის, თუნდაც ჩვენს უახლოეს სამეზობლოსთან – აზერბაიჯანთან და სომხეთთან, რომლებთანაც ჩვენ ტრადიციულად კეთილმეზობლური ურთიერთობები გვაკავშირებს. თქვენი კითხვა ოდნავ არაკორექტულადაც მეჩვენება. ეჭვი მეპარება, რომ ვინც არ უნდა იყოს საქართველოს სათავეში, ის შეძლებს განახორციელოს „სასარგებლო პოლიტიკა" – ჩვენი საზოგადოება და მთლიანად პოლიტიკური კლასი საკმაოდ ინფორმირებულია და მგძნობიარეა ამ საკითხების მიმართ. ჩვენი მიზანია, რომ საქართველო გამოვიყვანოთ კრიზისიდან, რომ ქვეყანა გახდეს დაბალანსებული, ნაკლებად ნევროტული, ემოციური. არ უნდა ვიყოთ რაღაც მისტიკური ნარატივების იმედად, რომელზეც აიგება ქვეყნის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა. ჩვენ უნდა შევეცადოთ, მოვძებნოთ ქვეყნისათვის სასიცოცხლო სტრატეგიული ბალანსი, სტრატეგიული კომპრომისი და შევეცადოთ ამ ურთულეს გათვლებში მაქსიმალურად შევინარჩუნოთ საქართველოს ინტერესები. ვისაც ეს ასე ესმის, მათთვის, მიუხედავად მათი პარტიული თუ სხვა რაიმე ორიენტაციისა, ჩვენი კარი ღიაა. ჩვენ მზად ვართ, მათ შევხვდეთ, ვიმსჯელოთ, ერთად მოვძებნოთ ოპტიმალური გამოსავალი. ვისაც ამის არ სჯერა, მაშინ – გაგვატარეთ, როგორც ამის თქმა უყვარს ხოლმე ერთ ცნობილ ქართველ პოლიტიკოსს.

**— უდავოა, რომ რუსეთთან ურთიერთობების დალაგება-მოწესრიგება ოფიციალური თბილისისთვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მაგრამ ვითარებაში, როცა მოსკოვი საქართველოსგან მხოლოდ დათმობებს მოითხოვს, რისი საბოლოო შედეგი ჩვენი ქვეყნის შთანთქმა თუ არა, რუსეთის გავლენის სფეროში მოქცევაა, როგორი შეიძლება იყოს ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობების მოწესრიგების საფუძველი?**

— გვქონდა კი რაიმე სერიოზული დიალოგი ოფიციალურ მოსკოვთან ამ ბოლო პერიოდში? კიდევ რის დათმობას ითხოვს კრემლი? მე მგონი ყველაფერი, რისი მიღებაც უნდოდა რუსეთს, 2008 წლის ომის შემდეგ მიიღო. მთავარია, ჩვენ შევძლოთ ნორმალური, დაბალანსებული, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა და არა რაღაც ნარატივების ბურანში ყოფნა. ივანიშვილის გუნდი სწორი და პრაგმატული და არა პიარზე აგებული პოლიტიკის გატარებას შესთავაზებს საქართველოს მოქალაქეებს. თანამედროვე სამყაროში ვერავინ იქნება უსაფრთხოდ (თუნდაც ძლევამოსილი და დიდი სახელმწიფო), თუ უსაფრთხოების მისაღწევად დადგენილი საყოველთაო სტანდარტები არ იქნება მიღწეული. უსაფრთხოება და ეკონომიკური განვითარება სხვის ხარჯზე (ან თუნდაც სხვის იმედზე) მიუღწეველია და, უფრო მეტიც, ამორალურია. საქართველოსთვის მთავარი საფრთხე შიდა არასტაბილურობიდან და სისტემატური არამდგრადობიდან მომდინარეობს. არ შეძლება ნებისმიერი ქვეყნის მდგრადობაზე ილაპარაკო, სადაც პოლიტიკური ინსტიტუტები კვლავ სუსტია და მათ ირგვლივ შექმნილი სისტემა თუ რეჟიმი, რომელსაც რამდენიმე ადამიანი მართავს, განუსაზღვრელად ძლიერი, არ კონტროლდება და ბალანსდება დემოკრატიისთვის დამახასიათებელი მექანიზმებით. ამიტომ, სამომავლოდ ჩვენ აქცენტები უნდა გავაკეთოთ არა მხოლოდ იმაზე, თუ რა გაკეთდა, არამედ იმაზე თუ რა არ გაკეთდა, ან თუნდაც რისი გაკეთება ვერ შევძელით და რისი გაკეთებაც შეგვეძლო უკეთ.

**— ისეთი პირი უჩანს, რომ პუტინის მიერ არაერთგზის გაჟღერებული ევრაზიული კავშირის შექმნის იდეა უახლოეს მომავალში საქართველოსთვის უმთავრესი საფრთხე და გამოწვევა შეიძლება აღმოჩდეს. როგორი შეიძლება იყოს ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით „ქართული ოცნების" დამოკიდებულება?**

— როგორც გითხარით, „ქართული ოცნება" თავის უმთავრეს პრიორიტეტად მიიჩნევს საქართველოს ინტერესების დაცვას. რაც შეეხება სხვადასხვა კონცეფციებს, მათ შორის ევრაზიული კავშირის შექმნას, ჩვენ მათ ყურადღებით გავეცნობით. მე მაინც მგონია, რომ ამ პროექტს უფრო შიდაპოლიტიკური დატვირთვა აქვს და ეს რუსეთში მიმდინარე საპრეზიდენტო კამპანიის ნაწილი უნდა იყოს.

**კობა ბენდელიანი**

## წიგნი

ამ ცოტა ხნის წინათ საგამომცემლო სახლმა „ინოვაციამ“ გამოსცა პროფესორ **მამია ჭუმბურიძის** წიგნი — **„ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია“** (მოკლე კურსი). წიგნში მრავალფეროვანი თემები განხილულია შემჭიდროებულად და თვალსაჩინოდ — დიაგრამებისა და სქემების გამოყენებით.

პირველი თემაა ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის საგანი და კვლევის თეორია. მეორე განყოფილებაში გადმოცემულია ადრინდელი ევროპის ეკონომიკური აზრი, ძველი აღმოსავლეთის (ბაბილონის, ჩინეთის, ინდოეთის) ეკონომიკური მოძღვრებანი, ასევე ძველი საბერძნეთის ეკონომიკური შეხედულებები.

შემდეგ განხილულია არარეგულირებადი საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკური მოძღვრების ისეთი ასპექტები, როგორიცაა: კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის აღმოცენება, ფიზიოკრატების ეკონომიკური თეორია, ადამ სმითისა და დევიდ რიკარდოს ეკონომიკური შეხედულებები, სოციალისტ-უტოპისტების ეკონომიკური თეორია, კარლ მარქსის ეკონომიკური მოძღვრება, ეკონომიკური აზრის ნეოკლასიკური მიმართულების ფორმირება და სხვ.

მეოთხე განყოფილება შეეხება რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის ეპოქის ეკონომიკურ დოქტრინებს — ინსტიტუციონალიზმს, არასრულყოფილი კონკურენციის ბაზრის თეორიას, ნეოლიბერალიზმს და სხვ.

მეხუთე განყოფილება კი მთლიანად საქართველოში ეკონომიკური აზრის განვითარების ისტორიას ეძღვნება. მოკლედ მიმოხილულია შოთა რუსთაველის, ბექასა და აღბუღას, ვახტანგ VI-ის, სულხან-საბა ორბელიანის, ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური შეხედულებანი. წიგნი დაწერილია მაღლიანი ქართულით და სასიამოვნო საკითხავია. წიგნი დაეხმარება ეკონომიკური პროფილის სტუდენტ ახალგაზრდობას და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიით დაინტერესებულ ყველა ასაკისა და პროფესიის მკითხველს.

აქვე მინდა ჩემი სურვილი მივაწვდინო წიგნის ავტორს — მეორედ გამოცემის შემთხვევაში მასში შეიტანოს ჩვენი სასიქადულო პოეტის აკაკი წერეთლის ეკონომიკური შეხედულებანი, რომელიც გამოთქმული აქვს მოთხრობაში „ქართული ფულის თავგადასავალი“. ქართველი მკითხველისათვის ცნობილია, რომ აკაკი წერეთელს დამთავრებული ჰქონდა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი, ამავე დროს იგი შორს იდგა ეკონომიკური საქმიანობისაგან; მაგრამ, მის მიერ ამ პატარა მოთხრობაში 100 წლის წინათ გამოთქმული ეკონომიკური მოსაზრებანი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ დღესაც აქტუალურია. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს აკაკი წერეთლის უდიდეს ნიჭიერებასა და ფართო განათლებულობაზე.

ცნობილია, რომ კოლონიური პოლიტიკისთვის საერთოდ დამახასიათებელი მძარცველობის მიუხედავად, ცალკეულ პერიოდებში, ნებსით თუ უნებლიეთ, მას დადებითი შედეგიც მოჰქონდა. მაგალითად, ინგლისმა, საფრანგეთმა, ესპანეთმა და სხვა სახელმწიფოებმა თავიანთი კოლონიებიდან, მართალია, აურაცხელი სიმდიდრე გაიტანეს, მაგრამ გარკვეულად ხელი შეუწყვეს აზიისა და აფრიკის ქვეყნებში მწარმოებლურ ძალთა განვითარებას, კულტურის ამაღლებას.

ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვების მიზნით რუსეთმა სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი რამდენადმე რბილი, მოქნილი პოლიტიკით შეცვალა და ახალი პოლიტიკის გამტარებლად კავკასიაში მეფის ნაცვლის რანგში გამოცდილი, ჭკვიანი და ცბიერო მოხელე გრაფი მიხეილ ვორონცოვი მოავლინა. ვორონცოვმა უხეშობისა და ძალადობის ნაცვლად შემპარავი, გულისმომგები მეთოდები და-

### ქართულ თეთრს ღილის ფუნქცია რომ არ ერგოს




ნერგა. მან ადგილობრივი თავადაზნაურობა ყოველმხრივ რუსეთისას გაუთანაბრა, გაუხსნა მას ბანკი და კრედიტი მიაშველა.

აკაკი წერეთელს „ქართული ფულის თავგადასავალში“ სწორედ ვორონცოვის მოღვაწეობის ეს მხარე აქვს მხატვრულად ასახული და აღნიშნავს, რომ მისმა მოღვაწეობამ საქართველოში დადებითი როლი შეასრულა მთელი რიგი დარგების აღორძინებაში. აკაკი ლიტერატურულ ხერხს მიმართავს და ალაპარაკებს ვორონცოვის ჯიბეში ნადებ, ქართველი ვაჭრებისათვის ნაჩუქარ ოქროს ხუთთუმნიანს. ერთხელ თურმე ვორონცოვისთვის მოუხსენებიათ, ქალაქელ ვაჭრებში ბოლო დროს ორიოდე ქართველიც გამოერიაო. ისინი სომხებთან ყოფილან ნოქრებად, აღებ-მიცემობა შეუსწავლიათ და ვაჭრობენ თავისთვის, ალალმართლადო. ვორონცოვს მოუხმია ისინი, მოუწონებია მათი საქმიანობა და თანაც ამგვარად მიუმართავს: „სანამდის ვაჟკაცობის დრო იყო, ქართველებისთანა სახელი ძვირად ვისმე თუ უნახავ!... მაგრამ, მომავალში ფარ-ხმლის ადგილი სასწორსაზომმა უნდა დაიჭიროს, რათა მეურნეობას მხარი დაუჭიროსო“. და თან იმედი გამოუთქვამს, რომ ქართველები, როგორც ბუნებით ნიჭიერი და საზოგადოდ შეგნებული ხალხი, ამ ახალ საქმეს კარგად შეითვისებენ და არავის ჩამორჩებიან. მიხვდებიან, რომ ვაჭრობა მოსატყუებელი და სინდისის საწინააღმდეგო რამ არ არის, რომ შემცდარი აზრი ვაჭრობაზე შეეცვლებათ და დაინახავენ, თუ რა წმინდა, საერთო და ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეა აღებ-მიცემობა. მასვე კრიტიკულად შეუფასებია ამ დარგში არსებული მდგომარეობა და სამომავლო დარიგებაც მიუცია: „დღემდე რაც უნახავთ, ის კომერცია კი არა, წვრილმანი ჩარჩობაა, მძარცველობა და ქურდობაა! ერთ გროშად ნაყიდს რომ მანეთად გაჰყიდი, დამპალ საქონელს რომ შეატყუებ, გასესხებულს ერთიასად დაიბრუნებ, მით ქვეყანას ტყავს გააძრობ, გამოხრავ და სისხლს გამოსწოვ, — რა უნდა დაგერქვას, თუ არა ქვეყნის მტერი და ორგული? მე რომ ვაჭრობაზე გითითებთ, ის სულ სხვა არის. გზა უნდა გაუკვლიოთ სხვა ქვეყნებისაკენ თქვენი ქვეყნის ნაწარმოებს, ბაზარი გაუკეთოთ და იქიდან სამაგიეროდ ის შემოიტანოთ, რაც აქ, თქვენს მხარეს აკლია, გაუცვალ-გამოუცვალოთ, გამართოთ სხვადასხვაგვარი ქარხნები, შემოიხვიოთ გარს მუშები, თქვენც ისარგებლოთ და სხვაც ასარგებლოთ. მაშინ, რაღა თქმა უნდა, ქვეყანაც სხვა თვალით დაგიწყებთ ყურებას და ვაჭრობისადმი სიძულვილს სიყვარული შეცვლის. ამგვარ ვაჭრობას პატიოსნების გარდა, სწავლა-განათლება უნდა დაედვას საფუძვლად და თქვენ ეცადეთ, რომ შვილები დროის შესაფერისად გამოზარდოთ, მანამდე კი ივაჭრეთ სიდისიერად და მეც ყოველ შემთხვევაში ვეცდები, რომ ხელი შეგიწყოთ“.

სამწუხაროდ, საუკუნენახევრის წინანდელი ზოგიერთი პრობლემა დღევანდელ საბაზრო ეკონომიკის პირობებშიც შემოგვრჩა. ჩვენს ქვეყანაში შემოაქვთ: ლუდი, ღვინო, არყის, თამბაქოსა თუ მაკარონის ნაწარმი და სხვა ისეთი საქონელი, რომელიც ჩვენთან იწარმოება, ან უნდა იწარმოებოდეს, მაშინ, როცა ადგილობრივი რესურსები გამოუყენებელია. ამავე მიზეზით შემცირებულია ექსპორტი. ექსპორტის შეფარდება იმპორტთან (უარყოფითი სალდო) კი განაპირობებს შემოსავლების სიმცირეს. როგორც ჩვენი სასიქადულო პოეტი მოგვიწოდებს, საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ რესურსები, გავზარდოთ წარმოება, რაც მოგვცემს საშუალებას, რომ საქართველო სხვისი საქონლის გამსაღებელი ქვეყნიდან გადავაქციოთ საქონლის ფართო ასორტიმენტის მწარმოებელ და ექსპორტიორ ქვეყნად, რათა ჩვენი ეროვნული ვალუტა მყარი იყოს და ქართულმა თეთრმა „ქართული ფულის თავგადასავალში“ აღწერილი ფულის ბედი არ გაიზიაროს, სახე არ დაკარგოს და რომელიმე ბიზნესმენის პერანგის მანჟეტების საკინძეებად არ გადაიქცეს, როგორც ეს იმდროინდელი ევროპული განათლებამიღებული ბიზნესმენის დავითის შემთხვევის შესახებ არის აღწერილი, რომელმაც საზღვარგარეთიდან დაბრუნებულმა ახადა თავი კიდობანს და მამისაულის (ყოფილი ვაჭრისძ) უხმარად ჩალაგებულ ქაღალდის, ოქროს, თუ ვერცხლის ფულებს ყველას თავის გზა მისცა, მაგრამ ქართული ვერცხლის ფულს, რადგან მიმოქცევიდან იყო ამოღებული, მხოლოდ პერანგის სახელოების ღილების ფუნქცია არგუნა.

**ჯუმბერ მაღლაფერიძე**

## დაჯილდოება

# პრემირებული ორტომეული

**„საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის“ მიერ დაარსებული დავით აღმაშენებლის ისტორიულ-ლიტერატურული პრემია მოიპოვა მურმან თავდიშვილის ორმა „აღმოსავლურმა“ მონოგრაფიამ: „ფირდოუსი და რუსთველი“ (გამოვიდა 2009) და „ნიზამი და რუსთველი“ (2011 წელს).**




ქართული კულტურა და, კერძოდ, ჩვენი ეროვნული პოემა მიჩნეულია აღმოსავლურ-დასავლური კულტურების შერწყმით მიღებულ ახალ ფასეულობად. აღმოსავლური ნაკადის შერწყმა „ვეფხისტყაოსანში“ კონკრეტულ ფაქტობრივ და მხატვრულ მაგალითთა მოყვანით არის წარმოდგენილი ორწიგნეულში. იქვე ხდება იდეების, სახეების, სიტყვა-ცნებების ლიტერატურული ტრანსფორმაციის ჩვენება ინტერტექსტობრივი თვალსაზრისით, რაც მუდამ დაკავშირებულია ჩვენს ინტერესებთან. ჩვენი ინტერესი კი პოემის ტექსტის ნამდვილი სახის დადგენაა. ამ მიზნით ავტორი მარჯვედ იყენებს ორი სპარსელი პოეტის მონაცემებს. პირველ წიგნთან დაკავშირებით ირანოლოგი ნომადი ბართაია წერს: „ავტორმა შეძლო გაევლო უამრავი თვალსაჩინო პარალელი ორ პოემას შორის, რომლებიც, გარდა იმისა, რომ გვიჩვენებენ საერთო ნიშანთვისებებს სპარსულ და ქართულ პოეტურ სამყაროს შორის, მნიშვნელოვან არგუმენტებს წარმოადგენენ „ვეფხისტყაოსნის“ ბუნდოვანი ადგილების გასარკვევად, რაც გამოკვლევის უპირველეს ღირსებად მიგვაჩნია“ („მწერლის გაზეთი“, №3, 2010წ; იგივე ავტორი მეორე გამოკვლევასაც გამოეხმაურა: „აღნიშნული წიგნი სრულიად ახალი სიტყვაა ამ მიმართულებით... ავტორმა „ვეფხისტყაოსნის“ შრეებში შესაღწევად მოიპოვა ის უხვი ინფორმაციული მასალა, რომლებიც მარგალიტებივით არის მიმობნეული მის ამ ახალ ფუნდამენტურ გამოკვლევაში“ („მწერლის გაზეთი“, №2, 2011წ.

პირველი ნაშრომი შესრულებულია ჩვეულებრივი მეცნიერული სტილით, მეორე ორიგინალური მანერით. ალბათ, ამან განაპირობა ერთი რიგითი მკითხველის ნ. პეტრიაშვილის გულწრფელი გამოხმაურება: „მივესალმები ამ წიგნის ჩემთვის უცნობ ავტორს, და ყოველ ქართველს თუ არაქართველს, ვისაც „ვეფხისტყაოსნის“ დიდი ტრფიალის გამო არაერთი მონოგრაფია, ლექსი, ნარკვევი, ესე დაუწერია, და რომელთაც მუდამჟამ დავეძებ, ვპოულობ და ზოგჯერ ვიზეპირებ კიდეც“.

ამ წიგნების ავტორს ჩვენს გაზეთში მოჰყავს რუბრიკა „ვაიმე, ენავ!“ ამიტომაც საგანგებოდ ვულოცავთ ამ გამარჯვებას და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს.

**სანდრო ალექსიძე**

## ეს წვრილმანი როდია!

# სვანური ტურიზმი და მოპარული მეგრული ცხენების ბედი

**საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სწრაფვამ სვანეთში — მესტიაში ტურიზმის, ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარებისათვის გარკვეულად დააზარალა სამეგრელოს, განსაკუთრებით ზუგდიდის რაიონის მოსახლეობა.**

მესტიაში, როგორც მაღალმთიანი რაიონისთვის, ტურისტების გადაადგილების საუკეთესო საშუალებაა ცხენი, ამიტომაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის ცხენი გახდა შემოსავლის წყარო. უცხოელი ტურისტი არც თუ მცირე თანხას უხდის ადგილობრივ სვანს, თუ ის მას ცხენს მიაქირავებს. ამიტომაც სვანეთში ცხენზე გაჩნდა უდიდესი მოთხოვნილება. სადაა მერე ეს ცხენები ?. რა თქმა უნდა, სამეგრელოში.



მეგრელები ოდითგანვე მისდევდნენ მეცხენეობას და ამჟამადაც სოფლებში ბევრგან ცხენი და დროგი ოჯახის რჩენის აუცილებელი საშუალება და ტრანსპორტია. ამიტომაც ცხენის მოპარვა, დაკარგვა მეგრელი გლეხისთვის უდიდესი ტრაგედიაა.

ცხენების მოპარვა სამეგრელოში ყოველთვის და ყველა დროში იყო გავრცელებული, მაგრამ ბოლო ხანს შეჩერებული და თითქმის აღკვეთილი ეს ქურდობები ისევ განახლდა და მეგრელი გლეხები ამას სწორედ სვანეთში დაწყებულ ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას უკავშირებენ. მათი განცხადებით, მეგრული ჯიშის ცხენები ღლისით, მზისით იკარგებიან საძოვრებიდან და აქვთ იმის ინფორმაციაც, რომ აჰყავთ სვანეთში — მესტიის რაიონში. ამიტომაც ისინი იძულებული არიან ცხენები არ გაუშვან საძოვრებზე, იყოლიონ ეზოსა და თავლაში, რაც გარკვეულ სირთულესთან არის დაკავშირებული.

**ლადო ქირია.**
**ზუგდიდიდან.**

ძიუდო

# ...და ნაკვალევს ქულები შლის



**გასულ უქმეებზე ავსტრიულმა ოზერვარტმა ძიუდოისტთა მსოფლიოს თასს უმასპინძლა. შესანიშნავად იასპარეზეს ქართველმა ფალავნებმა, რომლებმაც ოთხი მედალი მოიპოვეს: ორი ოქროსი და თითო — ვერცხლისა და ბრინჯაოსი.**

ასპარეზობის პირველ დღეს კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ბეთქილ შუკვანი (60 კგძ — მან ხუთივე ორთაბრძოლა იპონით მოიგო. ფინალში აზერბაიჯანელ მსოფლიოს პრიზიორ ილგარ მუშკიევს სულაც 55 წამში აჯობა. ამ წარმატებით შუკვანმა საოლიმპიადო მონაგარი 482 ქულამდე გაზარდა და სალიცენზიო რეიტინგში მე-14 ადგილამდე აინაცვლა. იგი ამ წონაში ამირან პაპინაშვილის უმთავრესი კონკურენტია. ალბათ, წლევანდელი ევროპის ჩემპიონატი უფრო დააკონკრეტებს, ამ ორი მოჭიდავიდან ვინ გამოვა ლონდონში.

საქართველოს დელეგაციას მე-2 ოქროს მედალი ლევან წიკლაურმა (81ძ მოუტანა. ნახევარფინალში ჩვენებურმა ლატვიელი კონსტანტინ ოვჩინიკოვსი ვაზარით დაამარცხა, ფინალში კი კანადელ ანტუან ვალოის-ფორტიერს მტკივნეული ილეთით სძლია.

ერთადერთი — ფინალური პაექრობა დათმო ადამ ოქრუაშვილმა (+100ძ, ნახევარფინალში მან იაპონელ კაზუჰიკო ტაკაჰაშის მოუგო, მაგრამ გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ჩვენებურს კუბელმა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა და ოლიმპიურმა პრიზიორმა ოსკარ ბრისონმა აჯობა, რომელმაც მეოთხედფინალში ზვიად ხანჯალიაშვილიც ჩამოიშორა გზიდან. ამ უკანასკნელმა სანუგეშოში ესტონელი ევროპის ჩემპიონი მარტინ პადარი მოახსნევინა გაფრთხილებებით, გადამწყვეტ შეხვედრაში კი ტაკაჰაშში გააკრა ზექებით ტატამზე.

ქართველი ძიუდოისტები ევროპაში კიდევ ორ სალიცენზიო ტურნირში იჭიდავებენ.

**ლაშა დიდია**

ჭადრაკი

# ნახევარი საუკუნეც გაფრენილა



**სახელოვან ქართველ დიდოსტატს, ორგზის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს, მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების ხუთგზის გამარჯვებულს, საკავშირო ჩემპიონატების ოთხი ოქროს მედლის მფლობელს, ამჟამად ჩეხეთში მცხოვრებ ნანა იოსელიანს 50 წელი შეუსრულდა.**

ამ თარიღთან დაკავშირებით თბილისის ჭადრაკის სასახლეში ბლიცტურნირი გაიმართა, რომელშიც დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი ქალები და მასმედიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მანდილოსნებში შვიდი შესაძლებლიდან 6 ქულით პირველი ადგილი სოფიო გვეტაძემ დაიკავა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა საქართველოს ნაკრების წევრი ნინო ხურციძე. 5-5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები, დამატებითი მაჩვენებლების გათვალისწინებით, ბელა ხოტენაშვილმა, ნინო ბაციაშვილმა და სოფიო გურამიშვილმა გაიყვეს.

ჟურნალისტებს შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. რამაზ გურგენიძე („პალიტრა მედია“, 6 ქულაძ, 2. სადრო ინწკირველი („რუსთავი-2“, 5,5ძ, 3. თენგიზ ჩოზანიძე („მსოფლიო სპორტი“, 5,5ძ.

**გივი გაგუა**

სამბო

# საგინესო — „არენაში“



**სპორტკომპლექს „არენაში“ 14 საათს(!ძ გაგრძელდა სამბისტთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელმაც ცხრა წონით კატეგორიაში გამოავლინა გამარჯვებულები და პრიზიორები.** დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე 200-მდე ფალავანი იბრძოდა სხვადასხვა სინჯის მედლებისთვის. რადგანაც ტურნირში მონაწილეობა სავალდებულო არ იყო ყველა სამბისტისთვის, რამდენიმე სახელოვანმა მოჭიდავემ შეჯიბრებას თავი აარიდა.

დაძაბული პაექრობების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ გენადი ჩირგაძე (ქუთაისი, 52 კგძ, ვახტანგ ჩიდრაშვილი (თელავი, 57ძ, შმაგი ლაგაზაური (ახმეტა, 62ძ, ლევან ნახუცრიშვილი (მცხეთა, 68ძ, გიორგი გასიტაშვილი (ქარელი, 74ძ, გიორგი ბაინდურაშვილი (მცხეთა, 82ძ, პაატა ღვინიაშვილი (გორი, 90ძ, ბექა ბერძენიშვილი (ახალციხე, 100ძ და მირიან პავლიაშვილი (მცხეთა, +100ძ.

კალათბურთი

# აკადემიურ-საფუძვლიანი ამბიციები

**გულშემატკივრები მოუთმენლად ელიან სუპერლიგის ფინალში „არმიისა“ და „ოლიმპის“ ბრძოლას, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ გეგმებში სერიოზული კორექტივების შეტანას აპირებს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის გუნდი.**

უკვე გაუწყეთ, რომ ძალოვანთა შეფებმა ამბიციური პროექტის განხორციელება ავტორიტეტიანი ბერძენი მწვრთნელის გეორგიოს კეცელიდისის ჩამოყვანით დაიწყეს, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდნენ და XXI ეროვნული ჩემპიონატის XIII ტურში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრაში კიდევ ორი ახალი ამერიკელი ლეგიონერი-გამთამაშებელი ენტონი მუდი და უნივერსალი ჯასტინ ტაბსი გვაჩვენეს საქმეში. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ისინი არჩევანში არ შემცდარან, რაც არაერთ ეპიზოდში დადასტურდა.



გაუთვალისწინებელი საკადრო პრობლემები შეექმნა გათამაშების უმთავრეს ფავორიტს — თავდაცვის სამინისტროს კლუბის ერთ-ერთ ლიდერს უილიამ თომასს ბრმა ნაწლავის სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა, ხოლო გუნდის კაპიტანმა ზვიად ბაბიაშვილმა ლავიწის ძვალი გაიტეხა, თუმცა არის სასიამოვნო სიახლეც — „არმიის“ ლაზარეთი დატოვეს და სარბიელს დაუბრუნდნენ გილიერმო დიაზი და გიორგი შარაბიძე, რომლებიც კარგა ხნის განმავლობაში იშუშებდნენ ტრავმებს.

**XIII ტურის მატჩების სრული შედეგები:** თსუ — „ბათუმი“ 95:74 (32:20, 24:23, 17:14, 22:17ძ. **ყველაზე შედეგიანები:** ჩიკვილაძე — 21 ქულა, 8 მოხსნა, ბერუაშვილი — 19 ქულა, 12 მოხსნა, ჩქარეული — 13 ქულა (თსუძ, ელიაძე — 16 ქულა, 8 მოხსნა, მიქელაძე — 13 ქულა, 9 პასი, მაისურაძე — 11 ქულა, რამიშვილი — 11 ქულა („ბათუმი“ძ. „არმია“ — „დინამო“ 83:66 (19:12, 23:19, 19:14, 22:21ძ. **ყველაზე შედეგიანები:** შელზომი — 19 ქულა, 10 მოხსნა, რიჩარდსონი — 18 ქულა, ვუდსაიდი — 18 ქულა, ათენელიშვილი — 10 ქულა („არმია“ძ, კარტერი — 25 ქულა, 13 მოხსნა, წივწივაძე — 12 ქულა, კეიდია — 10 ქულა, იულიჩი — 7 ქულა, 6 დაფარება („დინამო“ძ. სერბმა ცენტრმა დაფარებებში სეზონის რეკორდი გაიმეორა, რომელიც პირველ წრეში ილიცა მილუტინოვიჩმა („ოლიმპი“ძ და ბექა ბექაურმა (მაშინ „სამედიცინო“, ამჟამად — შსს აკადემიაძ დაამყარეს. „სოხუმი“ — „სამედიცინო“ 87:68 (16:18, 18:12, 24:14, 29:24ძ. **ყველაზე შედეგიანები:** ფარღალავა — 28 ქულა, 13 მოხსნა, 9 პასი, ფაცაცია — 21 ქულა, 10 მოხსნა, ქადარია — 10 ქულა, 10 მოხსნა, ათუაშვილი — 10 ქულა („სოხუმი“ძ. ლაშა ფარღალავა ჟურნალისტებმა ტურის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს — მას სამმაგ „დუბლამდე“ ერთი პასი დააკლდა. დვალიშვილი — 18 ქულა, 8 მოხსნა, ილიჩი — 13 ქულა, 13 მოხსნა, შვანგირაძე — 12 ქულა („სამედიცინო“ძ. შსს აკადემია — სტუ 97:59 (30:14, 19:11, 23:19, 25:15ძ. **ყველაზე შედეგიანები:** სმიტი — 35 ქულა, 17 მოხსნა, ბლერი — 23 ქულა, 10 პასი, ტაბსი — 13 ქულა, 9 მოხსნა (შსს აკადემიაძ. სმიტმა ტურის შედეგიანობის რეკორდი დაამყარა. ანთაძე — 13 ქულა, ხანიაშვილი — 9 ქულა, კოპალიანი — 9 ქულა (სტუძ. „ქუთაისი“ — „რუსთავი“ 69:60 (21:12, 14:19, 18:12, 16:17ძ. **ყველაზე შედეგიანები:** დიდია — 23 ქულა, დ. ბარბაქაძე — 14 ქულა, 13 მოხსნა, მათიაშვილი — 14 ქულა, გ. ბარბაქაძე — 12 ქულა. ხმელიძე — 17 ქულა, არწივიძე — 10 ქულა, მაჭავარიანი — 10 ქულა („რუსთავი“ძ. ისვენებდა „ოლიმპი“.

**სატურნირო მდგომარეობა:** „არმია“ — 11, „ოლიმპი“, „ქუთაისი“ — 9-9, შსს აკადემია, „სოხუმი“ — 8-8, თსუ, „დინამო“, სტუ — 5-5, „სამედიცინო“ — 4, „ბათუმი“ — 1, „რუსთავი“ — 0 მოგება.

**შემდეგი ტური:** „რუსთავი“ — სტუ, „ბათუმი“ — „სამედიცინო“, „ქუთაისი“ — „არმია“ (17 თებერვალიძ, „ოლიმპი“ — შსს აკადემია, „დინამო“ — „სოხუმი“ (18 თებერვალიძ. ისვენებს თსუ.

რაგბი

# დებიუტი მარცხით,

## ანუ მადრიდული ცივი შხაპი ბორჯღალოსნებისთვის

**ევროპის ერთა თასის შარშანდელ გათამაშებაში ქართველმა მორაგბეებმა ხუთივე შეხვედრა მოიგეს. მსოფლიოს თასზეც „ბორჯღალოსნებმა“ ბევრი ქება დაიმსახურეს, სამართლიანადაც. ეტყობა, ჩვენი გუნდის ხელმძღვანელებმა და მოთამაშეებმაც ზედმეტად ირწმუნეს საკუთარი შესაძლებლობები.** ახალი მწვრთნელის, ახალზელანდიელი მილტონ ჰეიგის დამოძღვრილი ჯვაროსნები პირენეებზე ექსპერიმენტული შემადგენლობით გაემგზავრნენ — ესპანელებს, რომელთაც შარშან შინ გამანადგურებელი ანგარიშით მოუგეს, მადრიდშიც იოლად დავამარცხებთო, თუმცა, დაიწყო მატჩი თუ არა, მასპინძლებმა სტუმრების ოცნებებს ფრთები შეაკვეცეს და ქართველი მორაგბეები მიწაზე დაუშვეს. ესპანელებმა მალევე გახსნეს ანგარიში საჯარიმო დარტყმით, რასაც ორიოდე წუთში ლელოც მიაყოლეს. ამ დროიდან მოყოლებული მათ ინიციატივა არ დაუთმიათ. მართალია, სტუმრები ყურებჩამოყრილები არ უცქეროდნენ მეტოქის ლაღობას — სამი ლელო (ბასილაია, მაჩხანელი, ჩილაჩავაძ და ერთი ჯარიმა (კვირიკაშვილიძ გაუტანეს, თუმცა მატჩის ბედის შემოსატრიალებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, რადგან მასპინძლებმა საფინალო სასტვენამდე 25 ქულის მოგროვება შეძლეს.



25:18 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვეს ესპანელებმა. ვის არ წაუგია, მაგრამ გუნდი, რომელსაც ექვსი ერის გათამაშებაში სურს მონაწილეობა, საშუალოზე დაბალი დონის ნაკრებს არ უნდა ნებდებოდეს. იმედია, მადრიდში ცივშხაპგადავლებული ქართული რაგბის თავკაცები და მწვრთნელები მომავალში გაუმართლებელ ექსპერიმენტებს აღარ მიმართავენ.

საქართველოს ნაკრებმა მადრიდში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: რევაზ გიგაური, ირაკლი მაჩხანელი, დავით კაჭარავა, მერაბ შარიქაძე, ალექსანდრე თოდუა, მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი აბუსერიძე, დიმიტრი ბასილაია, გივი ბერიშვილი, გიორგი ჩხაიძე, კოტე მიქაუტაძე, ლევან დათუნაშვილი, ბექა შეყლაშვილი, შალვა მამუკაშვილი, მიხეილ ნარიაშვილი, კარლენ ასეიშვილი, ლევან ჩილაჩავა, გიორგი ნემსაძე, გიორგი კალმახელიძე, გიორგი ბეგაძე, ლაშა მალაღურაძე, გიორგი შკინინი.

მომდევნო მატჩს ჩვენი ნაკრები თბილისში რუსებისგან ძლეულ (33:32ძ პორტუგალიასთან გამართავს.

**ლექსო ცინცაძე**

**გიორგი ჭანიშვილის ფოტო.**

ფეხბურთი

# მხოლოდ შედეგები



**აფრიკის ეროვნებათა თასი. ფინალი. ზამბია — კოტ დ' ივუარი 0:0 (პენალტებით — 8:7ძ. ძირითადი დროის 70-ე წუთზე ფავორიტის ლიდერმა დიდიე დროგბამ პენალტი ვერ გაიტანა.**

**იტალია.** „უდინეზე“ — „მილანი“ 1:2, „ინტერი“ — „ნოვარა“ 0:1, „კატანია“ — „ჯენოა“ 4:0.

**ესპანეთი.** „რეალი“ — „ლევანტე“ 4:2, „ოსასუნა“ — „ბარსელონა“ 3:2, „ვალენსია“ — „ხიხონი“ 4:0.

**ინგლისი.** „ასტონ ვილა“ — „სიტი“ 0:1, „მანჩესტერი“ — „ლივერპული“ 2:1, „ტოტენჰემი“ — „ნიუკასლი“ 5:0.

**გერმანია.** „ბორუსია“ — „ლევერკუზენი“ 1:0, „ბაიერნი“ — „კაიზერი“ 2:0, „გლადბახი“ — „შალკე“ 3:0.

**საფრანგეთი.** „ნიცა“ — „პარი სენ-ჟერმენი“ 0:0, „მონპელიე“ — „აიაჩო“ 3:0, „ლილი“ — „ბორდო“ 4:5.

**სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური.**

ადიულტერი

# „დარწმუნებული ვარ, რომ ესპანეთის მეფეს მოვწონვარ...“



**ესპანურ მონარქიას შავი დღეები უდგას. მალე მაღაზიების დახლებზე გამოჩნდება ჟურნალისტი ქალის პილარ ეირის წიგნი „დედოფლის მარტოობა“, სადაც იგი არღვევს პირენეის ნახევარკუნძულზე არსებულ დაუწერელ ტაბუს, რომლითაც სამეფო ოჯახის საიდუმლოებებზე ლაპარაკი მიუღებელია...**

ამასობაში, მეფის სიძეს კორუფციაში ედება ბრალი, ახლა კი, როგორც ლონდონის „სანდი ტაიმსი“ იუწყება, ბურბონები დედოფალ სოფიას ბიოგრაფიული წიგნის გამოსვლისთვის უნდა მოემზადონ, სადაც მეფე ხუან კარლოსს „დონ-ჟუანს“ უწოდებენ, რომელიც გულგრილად ქალს არ უშვებს... პილარ ეირი ირწმუნება, რომ ხუან კარლოსი და დედოფალი სოფია ძალიან შორს არიან იდეალური წყვილის იმ იმიჯისგან, რომელსაც საზოგადოების დასანახად მრავალი წლის მანძილზე ქმნიან. წიგნის „დედოფლის მარტოობის“ ავტორი იმასაც აცხადებს, რომ სამეფო წყვილს ერთ ლოგინში 1976 წლიდან არ სძინებია და რომ ხუან კარლოსი გამუდმებით ამცირებს სოფიას იმით, რომ ყველა „გამვლელ-გამომვლელ“ ქალთან რომანტიკული ურთიერთობის გაბმას ცდილობს.

73 წლის დედოფალ სოფიას შარშან დიდად აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ იგი არ უვლიდა ბარსელონის კლინიკაში ოპერაციის შემდეგ მოთავსებულ მეფე ხუან კარლოსს. თუმცა, პილარ ეირს მიაჩნია, რომ დედოფალს საამისოდ სრული საფუძველი ჰქონდა, რადგან 74 წლის მონარქს თავს ადგა 25 წლის გერმანელი მთარგმნელი ქალი.

„ასაკმა იგი არ დააშოშმინა, – თქვა პილარ ეირმა ლონდონური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში. – იგი ხანდაზმულობის პროცესის შესანელებელ პროცედურებს იტარებს და ვიტამინურ ინექციებს იკეთებს“.

თუკი სინიორა ეირს ვენდობით, სამეფო ქორწინებას ბზარი ჯერ კიდევ 1976 წელს გაუჩნდა, როცა საბერძნეთის ბოლო ხელმწიფის ქალიშვილმა სოფიამ, ქმარს საყვარელთან წაასწრო. მას შემდეგ სოფია ყველა მსგავს შეურაცხყოფას უჩუმრად იტანს.

ხუან კარლოსის ერთ-ერთმა საყვარელმა, მსახიობმა ქალმა, მეფესთან ყველა პაემანი ვიდეოზე ჩაიწერა და მას შემდეგ, რაც გვირგვინოსანმა სატრფომ იგი მიატოვა, მთავრობა აიძულა მისთვის ყოველთვიური გადასახადი ეხადა.

პილარ ეირი ამტკიცებს, რომ ხუან კარლოსი უფლისწულ დიანასთან არშიყსაც კი ცდილობდა, როცა მე-20 საუკუნის 80-იან წლებში იგი მალიორკაზე ისვენებდა. მოგვიანებით უელსის ჰერცოგინიამ რომელიღაც მეგობარს უთხრა: „დარწმუნებული ვარ, რომ ესპანეთის ხელმწიფეს მოვწონვარ“.

**ლალი ხუნდაძე**

ხელოვნა

# ცისია კახიანი

არიან ქალბატონები, დანახვისთანავე რომ გაფიქრებინებენ: „ქალი თუ ხარ, ეგეთი უნდა იყო!“ სწორედ ასეთი იყო და სამუდამოდ ასეთად დარჩება ჩვენს გულებში ქალბატონი ცისია კახიანი, ჩვენი ცისია – უმშვენიერესი, თვალსა და გულს ერთნაირად რომ ხიბლავდა და ათბობდა. არავის დაავიწყდება ის ამაღლებული სულიერების, თამამად შეიძლება ითქვას, პოეტური ატმოსფერო, რაც ცისიას სიახლოვეში სუფევდა. იშვიათად თუ გაცხარდებოდა: მხოლოდ შეწუხებული, წყენაჩამდგარი თვალებით, მაგრამ შემწყნარებლური ღიმილით გადმოგხედავდა.



საოცრად მოკრძალებული, უზომოდ სულგრძელი, გულისხმიერი და ყველასადმი კეთილგანწყობილი დააკლდება ყველას: ოჯახს, ახლობლებს, სამეგობროს, ქართულ მეცნიერებას...განსაკუთრებით დაგვაკლდება უმცროს მეგობრებსა და კოლეგებს.

ცისია კახიანი დაიბადა თბილისში, 1925 წლის 8 მაისს. 1942 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1947 წელს და მიენიჭა ფილოლოგის კვალიფიკაცია.

1948 წლიდან ქალბატონი ცისია მუშაობდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ახლო აღმოსავლურ ენათა განყოფილებაში. ინსტიტუტში ყოფნის პერიოდში კრებდა მასალას არაბულ-ქართული ლექსიკონისათვის სხვადასხვა გამოკვლევებიდან. მონაწილეობას იღებდა ქართული განმარტებითი ლექსიკონის II, III ტომების, ინვერსიული ლექსიკონისა და რუსულ-ქართული ლექსიკონის მასალის შემზადებაში.

1960 წლის 1 ივლისს, აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დაარსებისთანავე ჩაირიცხა სემიტოლოგიის განყოფილებაში და განვლო გზა უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლიდან წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობამდე.

1965 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „დმანისის არაბული წარწერები“ და მიენიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

ქალბატონი ცისია მთელი ცხოვრების მანძილზე რუდუნებით ემსახურებოდა თავის საყვარელ საქმეს: საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ეპიგრაფიკული ძეგლების მოძიებასა და გაშიფვრას. ამავდროულად, მუშაობდა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ა. ნ. კაზნაკოვისეული ფონდის, ძვირფასი ნივთებისა და საბრძოლო იარაღის ფონდის არაბულენოვან წარწერებზე, რის შემდეგაც სრულად გამოვლინდა მისი ღრმა ცოდნა მრავალრიცხოვან სამეცნიერო შრომაში. მათგან აღსანიშნავია „სვეტიცხოვლის ორენოვანი ეპიტაფია“ (ნაშრომი დაისტამბა იტალიაში, ვენეციის შრომებში), „დმანისის ერთი მავზოლეუმის წარწერები“ (დაიბეჭდა ინგლისში). განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მონოგრაფია „დმანისის არაბული წარწერები“ – სამაგიდო წიგნი ყველა სპეციალისტისათვის.

ფართო იყო ცისია კახიანის ინტერესთა სფერო. სამეცნიერო მუშაობის პარალელურად, მან თარგმნა და გამოსცა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურული ნიმუშები: ა. რაპოპორტი – „ნორმალური დასვენება“, 1956; ანტალ ჰიდაში – შანდორ პეტეფი, 1961.

საგანგებოდაა აღსანიშნავი ცისია კახიანის პედაგოგიური მოღვაწეობა. იგი უშურველად იხარჯებოდა სტუდენტებთან თუ მაგისტრანტებთან. აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში დაუზარებლად გადასცემდა ცოდნასა და გამოცდილებას, როგორც უმაღლესი დონის სპეციალისტი და ბრწყინვალე მექართულე. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შესრულდა სადისერტაციო ნაშრომი „თბილისის ძველი მუსლიმური სასაფლაოს არაბულენოვანი ეპიგრაფიკული ძეგლები“.

უკვე მძიმე ავადმყოფი, გასაოცარი ენერგიითა და, შეიძლება ითქვას, თავდადებით მუშაობდა „არაბული წარწერების კორპუსზე“, რომლის გამოცემასაც ეშურებოდა. სამწუხაროდ, ქალბატონ ცისიას არ დასცალდა კორპუსის გამოცემა და მისი ხორცშესხმა დაუტოვა ახალგაზრდა კოლეგებს, პირველ რიგში, თავის უსაყვარლეს დისშვილს.

ძვირფასო ცისი, მსუბუქი იქნება თქვენთვის ჩვენი მიწა, ნათელი გელით ზეციურ საუფლოში. მარადიულ სულეთში ხომ თქვენთვის ძვირფას და სანატრელ ადამიანებს შორის დაგხვდებათ დიდი გოგლა, რომლის დისწული და ჭეშმარიტი სულიერი მემკვიდრე ბრძანდებით, და პატარა დათო, თქვენი დისშვილი, აგრეთვე პოეტი, რომელიც, ალბათ, თქვენი ყველაზე დიდი ტკივილი იყო ამ ცხოვრებაში...ჩვენ კი მოსაგონრად დაგვიტოვეთ თქვენ მიერ ღირსეულად განვლილი ცხოვრების გზა, მისაბაძი და სამაგალითო, როგორც ნიმუში დიდებული ქალბატონისა.

**მარად თქვენი პატივისმცემელი კოლეგები**

ინფორმაცია

## ისრაელმა მკვდარი ზღვის გადარჩენის გადაწყვეტილება მიიღო



**ისრაელმა მკვდარი ზღვის გადარჩენის გადაწყვეტილება მიიღო და ბუნებრივი ბალანსის აღსადგენად 833 მლნ. შეკელს დახარჯავს. გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული თანხის განკარგვა მომდევნო 5 წლის განმავლობაში მოხდება.**

**ტამარის რეგიონალური საბჭოს წარმომადგენლის დოვ ლიტვინოვის განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება და მკვდარი ზღვის გადარჩენა მთავრობის მიერ მიღებული ისტორიული გადაწყვეტილებაა.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა „მზიურელთა“ თაობის ერთ-ერთი ლიდერი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კეთილშობილი და კოლორიტული პიროვნება

**გოგა ფიფია**

და თანაუგრძნობს განსვენებულის დედას, პროფესორ ნანა ხაზარაძეს და ოჯახის ყველა წევრს.

---

საქართველოს ქალთა საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს ქალბატონ ნანა ხაზარაძეს შვილის

**გიორგი ფიფიას**

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია თანაუგრძნობს ქალბატონ ნანა ხაზარაძეს უღრმეს მწუხარებაში – შვილის

**გიორგი ფიფიას**

გარდაცვალების გამო.

---

ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის გამგეობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს პროფესორ ნანა ხაზარაძეს შვილის

**გიორგი (გოგა) ფიფიას**

გარდაცვალების გამო.

---

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაგრძნობას უცხადებს საზოგადოების ხელმძღვანელს პროფესორ ნანა ხაზარაძეს შვილის

**გიორგი (გოგა) ფიფიას**

გარდაცვალების გამო.

---

ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის გამგეობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს პროფესორ ნანა ხაზარაძეს შვილის

**გიორგი (გოგა) ფიფიას**

გარდაცვალების გამო.

---

დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბატონ

**თენგიზ გვასალიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

ნომრის კარიკატურა



– წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, რომ დღეს ერთად ვივახშმოთ?
– რას ბრძანებთ, პირიქით!
– ძალიან კარგი, დღეს საღამოს თქვენთან ვარ.

ამირან ერაძის ნახატი.

კრიმინალი

## სამართალდამცველებმა მთავარი პროკურატურის პროკურორი დააკავეს

**იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, კორუფციის ბრალდებით, დაკავებულია მთავარი პროკურატურის პროკურორი კახა ცნობილაძე. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.**

**გამოძიებით დადგინდა, რომ უკანონო შემოსავლების მიღების მიზნით, მან შექმნა საკუთარი იურიდიული კომპანია, სადაც იურიდიული მომსახურების მისაღებად ამისამართებდა თავის წარმოებაში არსებულ საქმეებში ბრალდებულის სტატუსის მქონე პირებს და მათთვის საშეღავათო პირობების დაპირების სანაცვლოდ, იღებდა ფულად გასამრჯელოს.**

**„ჩვენ ვართ მიუკერძოებელნი საკუთარი უწყების თანამშრომელთა მიმართ, რითაც ვიცავთ საზოგადოების ინტერესებს“, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.**

## დაიჯესტი

### „ანტიძაღლური“ საარჩევნო ხრიკი

**არნახული სკანდალი აგორდა ჰოლანდიაში, სადაც უამრავი მუსლიმანი ცხოვრობს. პარტია „ისლამური დემოკრატების“ წარმომადგენელმა, ჰააგის საქალაქო საბჭოს დეპუტატმა, ეროვნებით თურქმა ჰასან ქუჩუკმა „ცხოველთა მომხრეთა“ პარტიის მოწოდების სასტიკი წინააღმდეგი გა-**



**მოვიდა, რომლითაც ის ჰააგის „ძაღლებისადმი უფრო მეგობრულად განწყობილ ქალაქად გადაქცევის“ ინიციატივით გამოვიდა. ქუჩუკის აზრით, ქალაქის საბჭომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, რომლითაც იქ ძაღლის ყოლა... სისხლის სამართლის დანაშაულად იქნება აღიარებული.**

ბევრმა ევროპელმა ჰოლანდიასა და კონტინენტის სხვა ქვეყნებში ძაღლების აკრძალვის მოწოდება ისლამური კანონების დამკვიდრების მცდელობად აღიქვა. მრავალ ქვეყანაში პოლიტიკოსები ორ ბანაკად გაიყვნენ: ზოგს ეს ამბავი სასაცილოდ არ ეყო, სხვებმა კი ეს დემოკრატიის საფუძვლების შერყევის მცდელობად აღიქვეს.

ჰოლანდიის „თავისუფლების პარტიის“ წარმომადგენელმა პოლვან ლინდენმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ჰოლანდიაში ძაღლის ყოლა სავსებით კანონიერია და ვინც ამას არ ეთანხმება, სხვა ქვეყანაში უნდა გადასახლდეს. პოლიტიკურად ნეიტრალურმა ჰოლანდიელებმა კი ქუჩუკის ეს მოწოდება ჰააგის მუსლიმანურ მოსახლეობაში აჟიოტაჟის მოწყობის მცდელობად აღიქვეს. საქმე ისაა, რომ მუსლიმანები, რომლებიც ჰააგის ნახევარმილიონიანი მოსახლეობის 12 პროცენტს შეადგენენ, ძაღლებს „უწმინდურ ცხოველებად“ მიიჩნევენ. ექსპერტების აზრით, აკრძალვის მოწოდების მიზანი მომავალ არჩევნებში ამომრჩეველთა გადაბირების მცდელობაა.

### ერთი კაცის ბარი

**ინგლისელმა გამომგონებელმა იანიკ რიდმა მსოფლიოში ყველაზე პატარა მისაბმელი სახლი ააგო. მინი-სახლი სიგრძით სულ ორი მეტრია,**




**შიგნით ჩვეულებრივი ზომის საწოლი დგას და, წარმოიდგინეთ, ერთი კაცის ბარიც კი არის!** სწორედ ბარის სივიწროვის გამოა, რომ ჟურნალისტები საგზაო პოლიციელებს ხუმრობით აფრთხილებენ, გზაზე მისტერ რიდის გადაადგილებას დიდი ყურადღებით დააკვირდით, რადგან იმ ბარში არც ბარმენია, რომ „კლიენტს“ ნასვამ მდგომარეობაში საჭესთან დაჯდომა დაუშალოს და არც სხვა ვინმე დაეტევა, ვთქვათ, მეგობარი ქალბატონი, რომლის ხათრით კაცი სასმელს მოერიდებოდა.

ისე კი, თუკი ნასვამი საჭეს არ მიუჯდება, მისტერ რიდმა საუცხოო პირობები შეიქმნა: გადაჰკრავს ზედმეტს და ლოგინიც იქვე აქვს გაშლილი.

### კრემლის „მიშკა“

**სასაქონლო ნიშანი სიტყვა „კრემლით“ (და მისი წარმოებულებითძ რუსეთულ სავაჭრო სახლ „კრემლიოვსკის“ მიერაა დარეგისტრირებული. ცოტა ხნის წინათ აღნიშნული სასაქონლო ნიშნით კანფეტი „კრემლიოვსკი მიშკა“ („კრემლის დათუნია“ძ გამოუშვეს.**

რუსეთის პრეზიდენტის კანცელარიის საქმეთა მმართველის წარმომადგენლის განცხადებით, ამ სასაქონლე ნიშნის მიზანია „ხარისხის დადგენა და სამამულო მწარმოებელთა მხარდაჭერა“. ამ ნიშნის მატარებელი თითქმის ყველა ნაწარმი რუსეთული წარმოებისა (ჩათმონათვალში ასევე სომხური კონიაკიცააძ. „კრემლიოვსკის“ სასაქონლო ნიშნით პროდუქცია, უმეტესწილად, სახელმწიფო მიღებებსა და საპროტოკოლო ღონისძიებების დროს გამოიყენება.

### „იღბლის თაიგული“ მონიკა



**აფრიკა საოცრებათა კონტინენტი რომაა, საყოველთაოდ ცნობილი ამბავია, მაგრამ რაც მდინარე ზამბეზიზე მოხდა, როგორც ჩანს, ყველა სხვა დაჩრდილა. ავსტრალიელი ქალიშვილი, რომელიც ეგრეთ წოდებული „ტარზანის ბაგირით“ ხიდიდან მდინარეში 111 მეტრის სიმაღლიდან გადახტომით სისხლში ადრენალინის მოჭარბებით „კაიფის დაჭერას“ ლამობდა, წყალში ჩავარდა, სადაც ყოველ ათეულ კვადრატულ მეტრზე სამიოთხი ნიანგია!** მართალია მონიკა სმიტს ბაგირმა უმტყუნა, მაგრამ, როგორც მოვლენათა განვითარებამ აჩვენა, მისი ცხოვრების გზა ჯერაც არ დასრულებულა, რადგან იგი არც დაიმტვრა, არც დაიხრჩო, არც ნიანგების მსხვერპლი გახდა და აბობოქრებული მდინარიდან ამოსვლაც სხვის დაუხმარებლად შეძლო!

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

**● ძველი ბერძენი ღმერთი დიონისე აძლევდა მოკვდავთ წამალს — ღვინოს, სულის სიკეთე რომ შეეძინა, სხეულს კი — ჯანმრთელობა და ძალა.**

**● ხვარაზმელი ბირუნი ამბობდა, როდესაც ალაჰმა ამ ორით გაუადვილა ადამიანს ცხოვრება, ადამიანების გული მათი სიყვარულით განიმსჭვალა, სულიც მისკენ გადაიხარა და ეს დღემდეც ასეა. იცით, რომ გაუადვილა ადამიანებს ცხოვრება? — ვაჭრობამ, ოქრომ და ვერცხლმა.**

**● „VENI, VIDI, VICI“ — ეს ცნობილი გამოთქმა იულიუს კეისარმა პონტოს მეფე ფარნაკის დამარცხების შემდეგ, ძვ.წ. 47 წელს, რომის სენატორისთვის წარდგენილ პატაკში ჩაწერა.**

**● ეტრუსკულ მითოლოგიაში მოხსენიებულთა ჯადოსნური ცხენბედაური, რომელიც 64 ნაწილად დაყოფილ ცის კაბადონს ნახტომებით მოივლიდა, ვარაუდობენ, რომ ამ მითში პირველად გამოჩნდა ჭადრაკის ჩანასახი.**

**● ბერძნული მითოლოგიით, გარდაცვლილთა სულებს ჰადესში მიაცილებდა — ჰერმესი.**

**● ნერონის უკანასკნელი სიტყვები იყო: „ეჰ, რა მსახიობი კვდება!“**

**● XVI საუკუნის ბოლომდე არაბული რიცხვების წინააღმდეგი იყვნენ როგორც ევროპაში, ასევე არაბულ ქვეყნებში, მაგრამ ვაჭრებმა მაინც შეძლეს მათი არა მხოლოდ თავიანთი საქმეებში გამოყენება, არამედ ფართოდ დანერგვაც კი. მიუხედავად იმისა, რომ არაბული ციფრები ინდური წარმოშობისაა, დღესაც კი სულ სხვა ქვეყნებს მიაწერენ.**

მოგვაწოდა
**ტიტე კოპალეიშვილმა**

## ყურადღება!

დიდი ბრიტანეთის ხელოვნების სამეფო აკადემიის მიერ სიახლეთა აღმოჩენად აღიარებული მეცნიერ-მათემატიკოსის გია კვაშილავას მოხსენების – **„მსოფლიოს პირველი ბეჭდვითი დოკუმენტის – ფესტოსის დისკოს და მისი მონათესავე კოლხური წარწერების ამოკითხვის“** მოსმენა-განხილვა საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში (ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 45, VI სართულიძ გაიმართება 2012 წლის 17 თებერვალს, 13 საათზე.

**დასწრება და განხილვაში მონაწილეობა თავისუფალია.**

კოორდინატორი
აკადემიკოსი: ალექსანდრე კუჭუხიძე

## განცხადება

სასწრაფოდ იყიდება ამაღლების ქ. №16-ში (ყოფილი დავითაშვილი) 80კვ.მ. კომერციული ფართი, გარემონტებული, სველი წერტილით, საკუთარი სათავსოთი (იყო მოქმედი მაღაზია).
ფასი შეთანხმებით.
ტ. 593 537-988, 551 480-096.

## კადრი



რედაქცია გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

საქართველოს ფოსტა – კიდევ არ არის ყველაფერი დაკარგული.

* * *

საშინელი რამ არის ფაღარათი სკლეროზისას – გარბიხარ და არ იცი, საით!

* * *

– ნუ გეშინია, არაფერს არ გაგიკეთებთ! – ეუბნება დანტისტი პაციენტს.
– მეც მაგის მეშინია, ექიმო!



* * *

ლომმა ხახა დააღო და მომთვინიერებელი თავით გადაეშვა საქმეში.

* * *

რაც უფრო ძვირიანია არაყი, მით უკეთესია იგი, ხოლო რაც უკეთესია, ხარისხობრივად მით უფრო ახლოსაა იგი სუფთა სპირტიან სითხესთან, რომელიც რამდენიმეჯერ იაფია არაყთან შედარებით.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24